პროლეტარებნო, ერთიანდ ერთიანად!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მაღარმელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ორშაბათი, 29 ნოემბერი, 1947 წ. № 287 (8021). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ბადაჭრით გავაძლიეროთ ტრაქტორების რემონტი, გავუმჯობესოთ ხარისხი—მოწინავეთ (1-ლი გვერდი).

ხუთწლედი — ოთხ წელიწადში! (1-ლი გვერდი).

ციმბირელთა პატრიოტული ინიციატივის საპასუხოდ. (1-ლი გვერდი).

ბერმანელ ფაშისტ დამპყრობთა და მათ თანამონაწილეთა ბოროტმოქმედების გამოვაკვლევი და დადგენილი საბჭოთა კომისიის ცნობა. (მე-2 გვერდი).

იაპონიის საზღვარ ხელშეკრულების მოამზადების საკითხისათვის (მე-2 გვერდი).

გულმოდგინედ მოვეკიდოთ ადგილობრივი საკვებეულების არაჩვეულებრივ ამოღებას! (მე-3 გვერდი).

ლ. ლოლაძე — ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით (მე-3 გვერდი).

ბაქართიანეთული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე. (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები—დეპეშები. (მე-4 გვერდი).

გადაჭრით გავაძლიეროთ ტრაქტორების რემონტი, გავუმჯობესოთ ხარისხი

ჩვენმა კოლმეურნე გლეხობამ მიღებინარე წელს უხვი მოსავალი მოიყვანა და წარმატებით განაგრძობს შრომას სოფლის მეურნეობისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის ახალი მძლავრი ღონისძიებისათვის. საქართველოს კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალიანობის ამაღლების საქმეში ძნიშვნელოვანი რული შეასრულეს მტს-ებმა. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენი რესპუბლიკის მტს-ებმა სატრაქტორო სადგურთა 1947 წლის გეგმა 100,7 პროცენტით შეასრულეს. მტს-ები ტაკიეე საფუძველს უყრიან მომავალი წლის მაღალ მოსავალს. ამას ისიც მოწმობს, რომ საქართველოს მტს-ებმა 25 ნოემბრისათვის მზრალად მოხნეს 51.276 ჰექტარი მიწა, გეგმის 88,4 პროცენტი, ანუ 17.102 ჰექტარით მეტი გასულ წელთან შედარებით.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე 1948 წლისათვის დიდი ამოცანებია დასახული. მათ მომავალ წელს კიდევ უფრო მეტი პური და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები უნდა მისცეს სახეობთა სამშობლოს. აქედან გამომდინარეობს ამოცანა მოკლე ვადებში და მოწინავე აგრონომიული ტექნიკურების მოიხიდვნათა მტკიცედ დაკვეთ ჩვენ ახალი საგაზაფხულო თესვა.

თესვის სახელმწიფო გეგმის წარმატებები ტრაქტორებ მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მაღალნაყოფიერ ბუმბაზზე. იმაზე, თუ როგორ და რა ხარისხით შესრულდება ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტის გეგმა.

ტრაქტორების რემონტი უკვე დაიწყო. ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტის 1947 წლის მეოთხე კვარტალის გეგმები უკვე შესასრულეს ოჩამჩირის, ბუდაფეშის და ლენინგორის მტს-ებმა. მაგრამ საერთოდ, რესპუბლიკაში ტრაქტორების რემონტი არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. 25 ნოემბრისათვის მეოთხე კვარტალში გეგმით გათვალისწინებული 910 ტრაქტორის ნაცვლად შეკეთებული იყო მხოლოდ 197 ტრაქტორი. ბევრ მტს-ს რემონტის დარგში სეზონიული დაგალება აქვთ მიცემული, მაგრამ მათი მუშაკები ამ სამუშაოს ძნიშვნელობის შეუფასებლობას იჩენენ, ხანა ბაძო ძალიერ ჩამორჩენიან. მაგალითად, არც ერთი ტრაქტორი არ გადეკეთებია რემონტიდან ბოგადანოვკის, გურკალანის, კაჭრეთის, ულიანოვკისა და ალაზნის მტს-ებს. წითელწყაროს მტს-მა მეოთხე კვარტალში გეგმით გათვალისწინებული 35 ტრაქტორიდან შეკეთა მხოლოდ 1, შირაქის მტს-მა შეკეთა ორი ტრაქტორი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 25-ისა, ლაგოდეხის მტს-მა 31-დან მხოლოდ 1 ტრაქტორი შეაკეთა. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არ არის ბაარის, კასპის, ახალციხის, თიანეთისა და წალკის მტს-ებში.

მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში ჩამორჩა კომბაინების რემონტიც. 25 ნოემბრისათვის 140 კომბაინიდან შეკეთებულია მხოლოდ 15 კომბაინი. ეკი ტემპით მიმდინარეობს გეფონების, სათაფლიეს, ეუტლეფატორების, საფოსი მანქანების რემონტიც.

დაღვა გადაწყვეტილი ტრაქტორების, კომბაინების, სალეწებისა, ბისაბმელი ინვენტარის მეოთხე კვარტალის გეგმის მთელიანად შესრულებათვის. პარტიის რაიონული კომიტეტები, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროო და მისი ადგილობრივი ორგანოები ვალდებულნი ორად სსსრაფფ ზომები მიიღონ ნამორჩენის ლიკვიდაციისათვის.

სეზონიული ყურადღება უნდა მიექცეს რემონტის ხარისხს, უამისოდ არ ვეიძლება გეგმა შესრულებულად ჩაითვალოს. ბრის სიგნალები, რომ ზოგან რემონტის ხარისხს არ იცავენ. ასეა, ბაგალითად, მცხეთის, წითელკალაქის, ზესტაფონისა და გალის მტს-ებში. რემონტის ხარისხისადმი მტკიცე კონტროლის დაწესება ურყეები პირობაა რემონტის სამეგზი წესის ლესაკეთოდ.

ტრაქტორებისა და სხვა იარაღ-მანქანების რემონტის გეგმის შესრულებაში დიდი მნიშვნელობა აქვს მრეწველობის დახმარებას სოფლის მეურნეობისადმი. საქართველოს დედაქალაქის—თბილისის მრავალ მოწინავე საწარმოს ალებული აქვს შეფობა მტს-ებისადმი და მათ სერიოზულ დახმარებას უწევს. მთელი ინა საწარმოები პირნათლად ასრულებენ სოფლის მეურნეობის დაკეთილ ტრაქტორებისა და სხვა მანქანების სათადარიგო ნაწილების დამზადების საქმეში. მაგალითად, თბილისის რადიოქარხანამ შეასრულა მეოთხე კვარტალში სათადარიგო ნაწილების დამზადების გეგმა. მაგრამ თბილისის ინსტრუმენტალური და საკალინის სახელობის ქარხნებს ჯერ-ჯერობით მეოთხე კვარტალის ანგარიშში არც ერთი სახის დეტალი არ მიეწოდებიათ „იატოტრაქტორსბიტის“ საქართველოს კანტორისათვის. მრეწველობამ უნდა გააძლიეროს დახმარება სოფლისადმი. ამ მხრივ შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინა საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის სამინისტროს ცოცხინის ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივმა, რომელმაც იკისრა 1947 წლის მეოთხე კვარტალის პროგრამა შეასრულოს ვადამდე— 21 დეკემბრისათვის — რუსეთის ფედერაციის ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღისათვის. აგრეთვე ვადამდე შეასრულოს 1948 წლის პირველი კვარტალის პროგრამა, გაათვალიწინოს დეტალების ხარისხი, შეამეიოროს პროდუქციის თვითღირებულება.

თბილისის ის საწარმოები, რომელნიც ტრაქტორების სათადარიგო ნაწილებს ამზადებენ, მხურვალედ გამოეხმაურნენ ცოცხინელთა პატრიოტულ თაოსნობას, იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი, რათა ვადამდე შეასრულონ სათადარიგო ნაწილების გამოშვების გეგმა.

ტრაქტორების, კომბაინებისა და მიასამელი ინვენტარის რემონტის დასაჩქარებლად საჭიროა მტს-ებსა და სატრემონტო სახელოსნოებში კიდევ უფრო ვიგეთამტკიცოთ დისციპლინა, ვიზრუნოთ რემონტზე მომუშავეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ რემონტზე მომუშავეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. პარტიის რაიონული კომიტეტები და უპირველეს ყოვლისა მტს-ების დირექტორთა მოადგილეები პოლიტიკურ ნაწილში და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მეტი ყურადღება მიაქციონ ამ საკითხს და ყოველ-მხრივ შეუწყონ ხელი მტს-ებისა და სარემონტო სახელოსნოების მუშაკთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებას.

მტს-ებს ყველა პირობა აქვთ რემონტის როგორც კვარტალური, ისე წლიური გეგმების შესასრულებლად. მტს-ებში ვამოიზარდნენ შესანიშნავი კადრები, რომელნიც დაეუფლნენ რიული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მართვას. წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა მტს-ების ჩარხმოწყობიელთა. ბამოვიყენოთ მთელი ფატიგოვით მოწყობილობა-დანადგარები,—აი ერთ-ერთი ოფელებელი პირობა რემონტის ვეგმის შესრულებისათვის.

ტრაქტორების რემონტის სამუშაოები მიმდინარეობს იმ პერიოდში, როცა ჩვენი რესპუბლიკა გაცხოველებით ემზადება მაღალნაყოფიერ დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა პოლიტიკური და საწარმოო აქტივობა ყოველდღიურად იზრდება. მაღალ ავეჩოთ სოფლად სოციალისტური შეჯიბრების ფორმა, ფიროელად და მაღალხარისხოვნად შეეკეთოთ ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, არჩევნების დღეს შეეხვედეთ ახალი შრომითი წარმატებებით!

თბილისის საორთქლმავლო დეპო. მოწინავე სტახანოველი შემდეგიდგილი ვ. კაბარ-ძალაშვილი, რომელმაც წელიწადზე და 10 თვეში კოლეფოდნეტერის გეგმა შეასრულა.

ფოტო ო. ალოფფოესა

მეჭი ქაღალდი წიგნებისათვის. რეველებისათვის

ენგურის ქაღალდის კომბინატის მუშაბმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა ლენინგრადელთა ახალი მოწოდების პასუხად ერთსულოვნად იკისრეს იმდენი ქაღალდი ქაღალდის გამოშვება, რომ უზრუველყოონ ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში და უფრო ადრე შესრულება.

— სამშობლოს ესაჭიროება მეტი რაოდენობის ქაღალდი, — წიგნების საბეჭდად, ჩვენი შეიღებისათვის რეკულების დასამზადებლად—სთქვა ლენინგრადელთა ახალი მოწოდების განსახილველად შემდგარ მიტინგზე ქაღალდის წარმოების ოსტატმა ნ. ნადარაია.

ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების ლონისძიებებზე ილაპარაკეს ავრეთვე ცელულოზის ქარხნის მექანიკოსმა გ. ტორუამ, რეველების საამქროს უფროსმა ი. გალიხმა, რომელმაც საამქროს კოლექტივის სახელით იკისრა ყოველწლიურად 20 მილიონი ცალი რეველის გამოშვება, ოსტატმა ლ. ყულაბაროვიმ და სხვებმა.

კომბინატის კოლექტივმა იკისრა ქაღალდის გამოშვების ხუთწლიანი გეგმა შეასრულოს ოთხ წელიწადში.

ვ. მესხია

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ბაორკეცებული ენერგიით

შრომითი ენთუზიაზმის ახალი აზვირთება გამოიჩინა სამტრეფოდ საწარმოებში ლენინგრადელთა ახალმა მოწოდებამ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების შესახებ. საქართველოს ჩაის ტრესტის მექანიკურ ქარხანაში, ბაფსაღებ ფაბრიკაში, საკოსმეტიკო კომბინატში, საორთქლმავლო და სავაგონო დეპოებში, დაფნის გადამამუშავებელ კომბინატში და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში ლენინგრადელთა ამ ახალი პატრიოტული თაოსნობის გამო შეიდგა მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა საერთო კრებები, სადაც ერთსულოვნად იკისრეს ახალი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების ვალდებულება.

ჩაის ტრესტის მექანიკურ ქარხანაში შემდგარ საერთო კრებაზე, სიტყვები წარმოსთქვეს ქარხნის დირექტორმა ლ. ეფიმოვამ, მთავარმა ინჟინერმა შ. ეგაშალოვმაქმ, მთავარმა მექანიკოსმა მ. ჰაიდაროვმა, მემოდელე გ. ხუბუაშვილ და სხვ. მათ აღნიშნეს, რომ ქარხნის კოლექტივს, რომელმაც წარმატებით შესქლო ახალი ხუთწლედის პირველი ორი წლის გეგმათა ვადამდე განაღდება, ყველა შესაძლებლობა აქვს ახალი ხუთწლიანი გეგმა შეასრულოს ოთხ წელიწადში. კრებამ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება უზრუველყოონ შრომის სანოფიერების გადიდება ყოველწლიურად 15 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება სულ ცოტა 6 პროცენტით, სამობილის ყოველწლიური ეკონომია — 5 პროცენტით და ჩაის ფაბრიკისთვის ტექნიკური კადრების მომზადება წელიწადში 40 კაცის რაოდენობით.

ასეთივე ვალდებულებები იკისრეს აბრეშუმის ძაფსაღებ ფაბრიკაში, საორთქლმავლო და სავაგონო დეპოებში, საკოსმეტიკო კომბინატსა და სხვა საწარმოებში.

მაღალხარისხოვანი პროდუქცია აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში

მაზარაძის აბრეშუმის ძაფსაღებსაგრები ფაბრიკის კოლექტივმა თვენახევრით ადრე შეასრულა წლიური გეგმა, საგრძნობი გადაჭარბებით ანალიზებს ყოველდღიურ დაკალებას და ბარძვის ზოლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით 1.900 ათასი მანეთის მაღალხარისხოვანი პროდუქციის მისაწოდებლად აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკებისათვის.

ლენინგრადელთა მიმართვის ფეიქრები ერთსულოვანნი მოწონებით შეხვდნენ. მათ იკისრეს ოთხ წელიწადში შეასრულონ ახალი ხუთწლედი. ნაკისრი ვალდებულების გასანაღდებლად შეჯიბრებაში ჩაება სამასზე მეტი ტესტანოველი. ისინი დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ყოველდღიურ ნორმას. წარჩინებული სტახანოველი ლენინის ორდენოსანი ცაცა ლოლიტი, რომელმაც თავისი ხუთწლედის სამნახევარ წელიწადში ნორმა ორ ტონა ბაბრეშუმი ამოიღო, საკარხეთ სტახანოველ სოფია ჯიკია, საგრეხ საამქროს სტახანოველი მარო გულეფენკო და სხვები ყოველ ნორმას 150 პროცენტით ასრულებენ.

ერთსულოვანი აღფრთოვანებით

ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე წლის გეგმის შესრულებაში ჩვენ მნიშვნელოვანი წარმატებანი მოვიპოვეთ და 23 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვით 75 ათასი მანეთის პროდუქცია, — სთქვა ლენინგრადელთა მიმართვის განსახილველად მოწვეულ კრებაზე კეკეზ ბაშვილ სახელობის ხის დამამუშავებელი ქარხნის დირექტორმა ანმ. ფ. გორგიაშვილმა. — ახლა ლენინგრადელები მოგვიწოდებენ ომისშემდგომი ხუთწლედი შევასრულოთ ოთხ წელიწადში. ამ პატრიოტულ მიმართვას ერთსულოვანად უნდა ეფუძნოროთ მზარი. ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს იმისათვის, რომ ხუთწლედი ოთხ წელიწადში გავანაღდოთ.

— ლენინგრადელთა მიმართვის პასუხად ვკისრულობ, ყოველდღიურად საწარმოო გეგმა 350 პროცენტით შეეასრულო —განაცხადა სადურგლო საამქროს სტახანოველმა ა. ედიშერაშვილმა.

ახალი ვალდებულებანი იკისრეს სტახანოველებმა შ. ეკანაზაშვილმა, ი. ზაალიშვილმა, ნ. ზეიადაძემ, ყ. ხაჩატუროვამ, ა. მესხიამ, ა. ხეფსურაშვილმა და სხვებმა.

ქარხნის კოლექტივმა ერთხმად დაუჭირა მხარი ლენინგრადელთა მიმართვას და იკისრა ახალი ხუთწლედის 4 წელიწადში შესრულება.

კუბიბაშეველები უკვე შეუდგნენ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. სტახანოველმა ა. ედიშერაშვილმა 21 ნოემბრამდე დღიური დაგალება 400 პროცენტით შეასრულა. ასეთივე წარმატებანი მოიპოვეს სტახანოველებმა ნ. ზეიადაძემ, ყ. ხაჩატოროვამ, ა. ხეფსურაშვილმა, ა. მესხიამ და სხვებმა.

კიროვის სახელობის დაზგაობმშენებელი ქარხანა, სურათზე: სტახანოველი ი. შერიცხალაძე, რომელმაც 3 წლის ნორმა უკვე შეასრულა.

ფოტო ვლ. ეინზბურგისა

ბორელ სტახანოველთა ვალდებულებანი

ლენინგრადელთა ახალმა პატრიოტულმა თაოსნობამ ომისშემდგომი ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების შესახებ დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ბელადის სამშობლო ქალაქის საწარმოებში.

საკოსტრეკი ქარხნის კოლექტივს ლენინგრადელთა მიმართვა გაიცნო ქარხნის დირექტორმა ამხ. პ. საყვარელიძემ. მეკოსტრეკეებმა იკისრეს ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულება. ინიციატიულ ვალდებულებანი იკისრეს სტახანოველებმა მ. ყაკაბაძემ, ფ. ლაბანოვამ, მ. ნადარაძემ, ბრიგადირმა მ. შუკაკიძემ და სხვებმა.

ბორის ხე-ტყის სახეობი ქარხნის კოლექტივმა საოქმებრო სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდი წარმატება მოიპოვა და 9 თვეში წლიური გეგმა 138 პროცენტით შეასრულა. ლენინგრადელთა მიმართვის საპასუხოდ კოლექტივმა იკისრა ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულება.

ლენინგრადელთა მიმართვას აქტიურად გამოეხმაურნენ ბორის საფაქრო კომბინატის მშენებლები და ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის საწარმოთა კოლექტივები.

შ. ჩუბინიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ხუთწლედი—ოთხ წელიწადში!

ციმბირელთა პასუხი ინიციატივის საპასუხოდ

კაღინინელთა პასუხი

— ჩვენი ქარხანა,—განაცხადა კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის დირექტორმა ამხ. მ. ფეფელინამ,—აწარმოებს კომბაინებისა და ტრაქტორებისათვის სხვადასხვა ნაწილის დამზადებას. ჩვენ ციმბირელთა მოწოდების პასუხად ვკისრულობთ ყველა დავალება შევასრულოთ ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად, ახალი წარმატებით შევხვდეთ არჩევნების დღეს—11 იანვარს.

— მე ქანიკურმა საამქრომ, — სთქვა საამქროს უფროსმა ამხ. ჯაფარიძემ,— წლიური დავალება 1 სექტემბრისათვის შესრულა, ოქტომბრისა — 115 პროცენტით, ხოლო ნოემბრის დავალება 120 პროცენტით შესრულდება. საამქროს სტახანოველები ამხ. ზეკვნეფი, პაველი და გოლოვინი ენერგიულად მუშაობენ ტრაქტორებსა და კომბაინების ნაწილების დამზადებაზე და ყოველდღიურ ნორმებს 260-400 პროცენტით ანაღდებენ. ჩვენი საამქროს ვალდებულებაა 1948 წლის 1 კვარტალის გეგმა ორ თვეში შეეასრულოთ.

ქარხანა დიდ დახმარებას უწევს თავის სპეციფიკურ-კასპის მტს-ს. წელს მას გადასცეს კომბაინისა და ტრაქტორის 50 ცალი ნაწილი, გუფგზავეს 50 კილოგრამი ლურსმანი, 50 ფურცელი სახურავი რკინა. მთლიანად მტს-ს გაეგზავნა 2 ტონაზე რკინეული, 100 კილოგრამი მავთული და სხვ.

კალინინის ქარხანაში კიდევ უფრო აძლიერებენ მუშაობის ტემპს და დახმარებას საშეფო მტს-სადმი.

ჩვენმა საკოლმეურნეო სოფელმა წელს უხვი მოსავალი მოიყვანა, კოლმეურნე გლეხობამ დაიფალავი შრომით პირნათლად შეასრულა დიდი სტალინისათვის მიეცემული პირობა და მთელი ძალით განაგრძობს ბრძოლას 1948 წელს სოფლის მეურნეობისა და სასოფლოოფლიო მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

საკოლმეურნეო სოფელს დიდ დახმარებას უწევს ჩვენი მრეწველობა, თბილისის მეფრმა საწარმომ ეიღი მტს-ებისადმი და ეუფლან ამი ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების სათადარიგო ნაწილებს.

ციმბირის საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის ქარხნის კოლექტივის პატრიოტულ თაოსნობას, — ვადამდე შეასრულონ ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების წარმოების გეგმა, მხურვალედ გამოეხმაურნენ ცოცხინელთა მუშაკნი, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და ჩაეგზავნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ტრაქტორების, კომბაინების და სხვა იარაღ-მანქანების სათადარიგო ნაწილების ვადამდე და მაღალხარისხოვნად დამზადებისათვის.

ქვემით მოთავსებულ მასალებში მოთხრობილია თბილისის ქარხნების მუშათა ეს კონკრეტული ვალდებულებანი.

26 კომისრის სახელობის ქარხანაში

მიმდინარე წელს თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა კარგი თაოსნობა გამოიჩინა—შეფობა აიღო ოელთის მტს-ზე. ქარხანაში გამოყვეს საშეფო კომისია, რომელმაც ადგილობრივ გამოარკვია მტს-ის საჭიროებანი. გამოირკვა, რომ მტს-ისათვის აუცილებელი იყო ტრაქტორებისა და კომბაინების მთელი რიგი სათადარიგო ნაწილები. ქარხნის კოლექტივმა მოკლე ხანში 37 სხვადასხვა სახის დეტალი მიაწოდა მტს-ს. დეტალების დამზადებაში კარგად იმეშაოეს ხარატმა გ. გაესშვილმა, რომელიც დღიურ ნორმას 250-300 პერცენტით ასრულებდა, სტახანოველად იმეშაეს ავრეთვე ბ. ჩიხლოვამ, ა. ბალდასარიანმა.

ქარხნის კოლექტივი ეხმარება მტს-ის სახელოსნოს მუშებს კვალიფიკაციის ამაღლებაში. ამ მიზნით ერთი ხარატი, ერთი მქუდელს და ერთი შემდეგდელს უშუალოდ ქარხანაში აუმაღლეს კვალიფიკაცია.

28 ნოემბარს შესვენების დროს ქარხნის მუშებმა და საამქროთა უფროსებმა გაიცეს ციმბირის საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის ქარხნის კოლექტივის მოწოდება—ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების ვადამდე დამზადების შესახებ. მათ ერთსულოვნად მოიწონეს ციმბირელთა ინიციატივა და თავის მხრივ იკისრეს:

მეოთხე კვარტალის პროგრამა შეასრულონ ვადაზე ადრე, 15 დეკემბრისათვის, ხოლო ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღისათვის დეტალების დამზადების გეგმას გადაამეტონ 20 პროცენტით, კიდევ უფრო გაუმჯობესონ გამოშვებული დეტალების ხარისხი, პროდუქციის თვითღირებულება შეამცირონ 3 პროცენტით, უფრო მეტი რაოდენობით გამოუშვან ტრაქტორების ახალი სახის დეტალები, პიროელდულად მიაღწიონ მტს-ში მაღალკვალიფიციურ მუშაობა ბრიგადა, რომელიც პროპერეკიულ დამზადებას გაუწევს სახელოსნოს მუშებს, და 1948 წლის პირველ კვარტალში მტს-ის 6 მუშას შეასწავლონ ხარატობა და ზეიცალოდ.

ნაკისრი ვალდებულებათა უკეთ შესრულების მიზნით 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა.

ბაღმის გადამეფებები

— წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით სამშობლოს მიეცემთ 400 ათასი მანეთის პროდუქციას, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლომდე დამატებთ გამოგეშვებთ ტენგოს ნაყოფის საფაქენელ 5 მექანიზებულ მანქანას, არჩევნების დღისათვის კი ავითვისებთ სიმინდის საფქვავ ისეთი მანქანის გამოშვებას, რომელიც დღეკამეში 18-20 ფუთამდე პროდუქციას მოგვცემს, — ასეთი ვალდებულება აიღო საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თბილისის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხნის კოლექტივმა, როცა წელს 28 ოქტომბრისათვის 100,5 პროცენტით შეასრულა 1947 წლის საწარმოო გეგმა. აქ 60-მდე სტახანოველმა ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე გააანაღდა წლიური ვალდებულება. ქარხანამ დიდი რაოდენობით გამოუშვა მრავალი ახალი სახის პროდუქცია, მათ შორის ტრაქტორებისა და ბეთონების სათადარიგო ხაწილები; მაგალითად, ტრაქტორის მრეგველი, ბეთონების ხუფები და სხვ.

ქარხანა დიდ ყურადღებას აქცევს მტს-ებისათვის უშუალოდ ადგილზე მისვლით და შრომითი მონაწილეობით დახმარებასაც,—შეფობის სახით ბოლნისის მტს-ში თითო თვით გაგზავნა 4 სპეციალისტი. ქარხნის კოლექტივმა ამ მტს-ს უკვე მიაწოდა 2.229 მანეთის სათადარიგო ნაწილები.

სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხნის კოლექტივმა ციმბირის საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის ქარხნის მუშაკთა ინიციატივის საფუძველზე პირობა დასდო კიდევ უფრო გააძლიეროს დახმარება კოლმეურნეობებისა, სამეფოთა მეურნეობებისა და მტს-ებისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ვინინსკი ლონდონს გაეგზავნა

ნიუ-იორკი, 26 ნოემბერი. (საკადრეს). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე ეგზავნა სოციალისტურ შეჯიბრებაში ოქტომბრის შედეგების მიხედვით გამარჯვება მოიპოვეს: თბილისის ლენინის ორდენოსანი ლენინის ქარხანა (დირექტორი ნ. ბუჯაიშვილი), რომელსაც მიეკუთვნა მეორე საკავშირო ადგილი და პრემია 10.000 მანეთის რაოდენობით და თბილისის ქაღალდის ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი ლ. ნინეიშვილი), რომელსაც მიეკუთვნა მესამე საკავშირო ადგილი და პრემია.

საკავშირო პრემიები ოქტომბერში მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის

ოქტომბერში მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის სსრ კავკასიის საკავშირო მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ და პრეზიდიუმ ცენტრალური საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ გარდამავალი დროშა და პირველი საკავშირო პრემია — 25.000 მანეთის რაოდენობით მიანიჭეს ბეკალის ჩაის საწონი ფაბრიკის კოლექტივს (დირექტორი გ. ალაბაძე). საქართველოს საგზაფხო მრეწველობის დანარჩენ საწარმოთაგან საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა და მათ თანამონაწილეთა ბოროტმოქმედების გამომკვლევი და დამდგენი საგანგებო სახელმწიფო კომისიის ცნობა

გერმანელების მიერ საბჭოთა სამხედრო ტყვეების დახოცვის შესახებ დემბლინის (ივან-გოროდის) ციხეში და პოლონეთის ტერიტორიაზე არსებულ ზოგიერთ სხვა გერმანულ ბანაკში

საბჭოთა კავშირის მთავრობის დავალებით საგანგებო სახელმწიფო კომისიამ პოლონეთში მიავლინა სპეციალური კომისია შემდეგი შემადგენლობით: იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო მრჩეველი დ. ი. კუდრიავცევი, საგანგებო სახელმწიფო კომისიის განყოფილების უფროსი რ. მ. ნიკიტინი და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტროს მთავარი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი, სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი პროფესორი ძ. ი. ავდეევი, დემბლინის (ივან-გოროდის) ციხის ყოფილ გერმანულ ბანაკში საბჭოთა სამხედრო [illegible] ერთად, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ იუსტიციის ვიცე-მინისტრი ლეონ ჩაინი, სააპელაციო სასამართლოს ვიცე-პროკურორი ლუდვიგ ვოიტაშევსკი და ვარშავის საოლქო სასამართლოს ვიცე-პროკურორი ფრანციშეკ კრუკოვსკი, 1947 წლის ოქტომბერში მოახდინა ჰიტლერელთა დანაშაულის გამოძიება, რაც მათ ჩაიდინეს დემბლინის ციხეში („ფრონტშტალაგ № 307") და ზოგიერთ სხვა ყოფილ გერმანულ ბანაკში.

კომისიის გამოკვლევის ცნობათა საფუძველზე: დემბლინის ციხის ტერიტორიის და გერმანელთა მიერ „№ 307 ფრონტშტალაგში" დახოცილი საბჭოთა სამხედრო ტყვეების დამარხვის ადგილების გამოკვლევით, თხრილებისა და ორმო-საფლავების გათხრით, გვამების ექსჰუმირებითა და გამოკვლევით, გერმანელთა დანაშაულის მნახველ მოწმეთა დაკითხვით, ნივთიერი საბუთების, მათ შორის გერმანული ფოტოსურათების შესწავლით, რაც წარ- [illegible] ტეს 132 ათასზე მეტი საბჭოთა სამხედრო ტყვე.

გერმანელი დამნაშავეების მიერ დემბლინის ციხეში საბჭოთა სამხედრო ტყვეების გაჟლეტის გარემოებათა შესახებ საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სპეციალურმა კომისიებმა შეადგინეს აქტი, რომლის ამონაწერებიც მოყვანილია ქვემოდ:

ა ქ ტ ი

1947 წლის 22 ოქტომბერი ქალაქი ვარშავა

საბჭოთა კომისიამ პოლონეთის კომისიასთან ერთად დემბლინის (ივან-გოროდის) ციხეში დაათვალიერა ციხის ტერიტორია და ის ადგილები, სადაც გერმანელებმა დამარხეს საბჭოთა სამხედრო ტყვეების გვამები, სხვადასხვა ადგილას გათხარა თხრილები და ორმო-საფლავები, მოახდინა გვამების ექსგუმაცია და გამოკვლევა, დაჰკითხა გერმანელთა დანაშაულის მნახველ 30-ზე მეტ მოწმეს, შეისწავლა აღმოჩენილი ნივთიერი საბუთები, მათ შორის მოწმეების მიერ წარმოდგენილი 73 გერმანული ფოტოსურათი, აგრეთვე საბჭოთა სამხედრო ტყვეების მიერ ციხის საკნების კედლებზე გაკეთებული წარწერები, და გამოარკვია შემდეგი:

1. დემბლინის ციხის ბანაკის აღწერილობა

დემბლინის ციხე მდებარეობს ვეებერთელა ტერიტორიაზე და შესდგება ფორტების, მაღალი სიმაგრეებისა და ღრმა თხრილების მთელი სისტემისაგან. ფორტების რკალში მდებარეობს თვით ციხე, რომელსაც გარშემოვლებული აქვს თხრილები და რომელიც წარმოადგენს სქელი აგურის ორსართულიანი კაზემატებით შემოფარგლულ ტერიტორიას. ციხის შიგნითა ტერიტორიაზე არის ყაზარმებითა და ცეცხლით დან- [illegible] აქვს ორი ალაყაფის კარი. ერთი კარიდან ციხის შიგნით შედის რკინიგზის შტო. ამ კარის პირდაპირ ციხის კედლის გასწვრივ მოთავსებულია დიდი ორ-ორნახევარი მეტრის სიმაღლის მოედანი, რომელიც დაჰყურებს ციხეს. ამ მოედანსა და ციხის კედელს შუა გადის რკინიგზის შტო, რომელსაც გარშემოვლებული აქვს ეკლიანი მავთული და რომელიც ციხეს აერთებს ვარშავა-ლუბლინის რკინიგზის საერთო ხაზთან.

ამ ციხეში გერმანელმა სამხედრო ხელისუფლებამ 1941 წლის ზაფხულში მოაწყო „ფრონტშტალაგ № 307" საბჭოთა სამხედრო ტყვეებისათვის. მთელი ბანაკი როგორც ციხის გარეთ, ისე მის შიგნით შემოვლებულია ეკლიანი ხლართით. ციხის სიმაგრეებზე მოთავსებული იყო საგუშაგო პოსტები ტყვიამფრქვევებით. თვითეულ პოსტზე იყო პროჟექტორები, რომლებითაც ღამით ანათებდნენ ციხის მთელ ტე- [illegible] თავსებული იყო 120-დან 150 ათასამდე საბჭოთა სამხედრო ტყვე, ამასთან მათი ყველაზე მეტი რაოდენობა იყო 1941 წლის ოქტომბრიდან 1942 წლის აპრილამდე. მოწმე ვიკენტი იუზეფოვიჩმა, რომელიც ციხეში წყალსადენის მუშად მუშაობდა, მის მიერ პურის დარიგების აღრიცხვის წიგნების ჩანაწერების ნახვის საფუძველზე, აცნობა, რომ 1942 წლის იანვარში ბანაკში იყო 126,343 ტყვე.

2. სამხედრო ტყვეების ეშელონების ჩასვლა

საბჭოთა სამხედრო ტყვეების პირველმა ეშელონებმა ბანაკში ჩასვლა იწყეს 1941 წლის აგვისტოში. სამხედრო ტყვეები უმეტეს წილად ქვანახშირის პლატფორმებით მოჰყავდათ. გზაში [illegible]

ხანით ან თავში კონდახის დარტყმით. მას შემდეგ, როცა აღნიშნულმა ეშელონმა, ე. ი. სამხედრო ტყვეთა კოლონამ გაიარა გზატკეცილზე — სადგურიდან ციხემდე, მთელი გზა სავსე იყო საბჭოთა სამხედრო ტყვეების გვა- [illegible]

3. რეჟიმი ბანაკში

[illegible]

4. სამხედრო ტყვეების ნამვა, დახვრეტა და მოხალა

[illegible]

ლონელს დაელაპარაკებოდა, იგი იქვე ხვრეტდა მას, პოლონელს კი საპატიმროში ათავსებდა.

ბანაკის ფურნის ყოფილმა მოანგარიშემ იადვიგა-მიროსლავა ვესენსკაიამ კომისიას უამბო: მე ვნახე, რომ 1941 წლის ნოემბერში კრახმა დაუბრძანა დაეხვრიტათ ყველა სამხედრო ტყვე, რომლებიც მოსულ ეშელონს ჩამორჩნენ და გამოფიტვისაგან დაეცნენ. მცველებმა 150-მდე კაცი დახვრიტეს. კრახი ამ დროს დახვრეტის ფოტოსურათს იღებდა.

1942 წლის გაზაფხულზე გერმანელებმა ცი- [illegible] აგრეთვე ციხის მახლობლად ღრმა თხრილში, ციხის სიმაგრეებს შუა.

გარდა დახვრეტისა, გერმანელები დაჭრილ და ავადმყოფ საბჭოთა სამხედრო ტყვეებს სპობდნენ გულის არეში მომწამვლელ ნივთიერებათა შეშხაპუნებით. ციხის მახლობლად მდებარეობდა ფორტი „ზოლონია". აქ გერმანელებმა მოაწყეს „ჰოსპიტალი" ავადმყოფი და დაჭრილი პატიმრებისათვის. აქ პატიმრებს კი არ მკურნალობდნენ, არამედ ხოცავდნენ. ამ „ჰოსპიტალში" დაღუპული ისე ბევრი იყო, რომ გერმანელები ვერ ასწრებდნენ მათს და- [illegible]

5. [illegible]

[illegible]

6. გერმანული ფოტოსურათები

[illegible]

სასტიკი პასუხი მოეთხოვოთ გერმანელ ფაშისტ დამნაშავეებს

[illegible]

იაპონიის საზავო ხელშეკრულების მომზადების საკითხისათვის

18 ნოემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა სსრ კავშირში ჩინეთის საელჩოს მეშვეობით მიიღო ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ვან ში-ძეს ა. წ. 17 ნოემბრის შემდეგი შინაარსის ნოტა:

11 ივლისს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წინადადება გააკეთეს იაპონიის საკითხზე წინასწარი საზავო კონფერენციის მოწვევის შესახებ. მაგრამ ამ წინადადებას არ დაეთანხმა ყველა სახელმწიფო, რომლებთანაც კონსულტაცია ჰქონდათ.

ჩინეთის მთავრობა ითვალისწინებს იმას, რომ საჭიროა შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობისა და ნორმალური პირობების სწრაფი აღდგენა, მხედველობაში იღებს ამის გამო წარმოშობილ უთანხმოებას და მხარს უჭერს იმ თვალსაზრისს, რომ წინასწარმა საზავო კონფერენციამ არ უნდა გადაუხვიოს იმ პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავენ შორეული აღმოსავლეთის კომისიის შემადგენლობასა და პროცედურას და რომლებიც მიღებულია ამ კომისიის თერთმეტივე წევრის მიერ. ამის მიხედვით ჩინეთის მთავრობა აყენებს შემდეგ წინადადებას იაპონიისათვის წინასწარი საზავო კონფერენციის შემადგენლობისა და პროცედურის შესახებ.

ა) წინასწარი კონფერენცია შორეული აღმოსავლეთის კომისიის ყველა წევრის შემადგენლობით მოწვეულ იქნება ახლო ხანში, რაც განსაზღვრული იქნება შეერთებული სამეფოს, საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის მთავრობათა შეთანხმებით, იმ მიზნით, რომ დაიწყოს საზავო ხელშეკრულების შედგენა და იმ საკითხების გადაჭრა, რომლებიც შეეხება საბოლოო საზავო კონფერენციის მოწვევას.

ბ) კონფერენციის ყველა გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოთა ხმის უმრავლესობით, მათ შორის შეერთებული სამეფოს, საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის ხმებისა, რომლებიც ერთმანეთს დაემთხვევიან.

ანალოგიური ნოტები, რომლებიც შეიცავენ ამ წინადადებებს, ეგზავნება შეერთებული სამეფოს და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს. თუ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და ორი სხვა დაინტერესებული მთავრობა დაეთანხმებიან ზემოთ მოყვანილ წინადადებებს, მაშინ არის წინადადება, რომ, გარდა ამისა, წინასწარი კონფერენციის მოწვევის თარიღის დადგენის შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ეთხოვოს დაუგზავნოს შორეული აღმოსავლეთის კომისიის დანარჩენ წევრებს მიწვევა ოთხი სახელმწიფოს, სახელდობრ, შეერთებული სამეფოს, საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სახელით. ჩინეთის მთავრობა მადლობელი იქნება, თუ უახლოეს მომავალში მიიღებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის პასუხს.

27 ნოემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა ჩინეთში სსრ კავშირის საქმეთა დროებითი რწმუნებულის ნ. ტ. ფედორენკოს მეშვეობით გაგზავნა შემდეგი პასუხი ბატონ ვან ში-ძეს ნოტაზე.

იაპონიისათვის მშვიდობიანი მოწესრიგების მომზადების საკითხზე თქვენი ამა წლის 17 ნოემბრის ნოტის საპასუხოდ პატივი მაქვს საბჭოთა მთავრობის დავალებით გაცნობოთ შემდეგი:

ცნობილია, რომ ოთხმა სახელმწიფომ — ჩინეთმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, საბჭოთა კავშირმა და დიდმა ბრიტანეთმა, რომლებმაც ომის მთავარი სიმძიმე გადაიტანეს და თავიანთი შეიარაღებული ძალებით უზრუნველჰყვეს იაპონიაზე გამარჯვება, ჯერ კიდევ ომის მსვლელობაში მიაღწიეს გარკვეულ შეთანხმებას ომისშემდგომი მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხებზე. ამან [illegible] გამოხატულება ჰპოვა კაიროს დეკლარაციაში, იალტის კონფერენციის გადაწყვეტილებებში და პოტსდამის დეკლარაციაში. ამასთან, პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებით მშვიდობიანი მოწესრიგების საჭირო მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება დაეკისრა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს, რომელში ჩინეთის მონაწილეობა ითვალისწინებდა სწორედ შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხებს.

იაპონიის წინააღმდეგ ომის დამთავრების შემდეგ შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა და საბჭოთა კავშირმა, აგრეთვე შემოერთებულმა ჩინეთმა, მოსკოვში 1945 წლის დეკემბრის შეთანხმებით დაადგინეს, რომ სწორედ ეს ოთხი სახელმწიფო მიიღებს მონაწილეობას სამოკავშირეო საბჭოში იაპონიისათვის და რომ შორეული აღმოსავლეთის კომისია ვაშინგტონში თავის გადაწყვეტილებებს მიიღებს ოთხი აღნიშნული სახელმწიფოს წარმომადგენელთა აუცილებელი თანხმობით, რითაც დადასტურებულ იქნა ამ სახელმწიფოთა განსაკუთრებული დაინტერესება იაპონიის ომისშემდგომი მდგომარეობის საკითხებით.

ემყარებოდა რა ამ გადაწყვეტილებებს, საბჭოთა მთავრობამ თავის ამა წლის 22 ივლისისა და 29 აგვისტოს ნოტებში უკვე გამოსთქვა აზრი, რომ საჭიროა უახლოეს დროში განხილულ იქნას იაპონიისათვის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხი საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში ჩინეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

თქვენს ნოტაში მოყვანილი წინადადება იაპონიისათვის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცედურის შესახებ აგრეთვე ემყარება ოთხი აღნიშნული სახელმწიფოს განსაკუთრებული დაინტერესების აღიარებას, ვინაიდან იგი ითვალისწინებს იაპონიისათვის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხებზე ყველა გადაწყვეტილების მიღებას და ჩინეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთა აუცილებელ თანხმობას, თუმცა თქვენი ნოტა მოითხოვს ამ მიზნით განსაკუთრებული წინასწარი კონფერენციის მოწვევას, რაც გათვალისწინებული არ იყო აღნიშნულ სახელმწიფოთა რომელიმე წინანდელი გადაწყვეტილებით და რაც ეწინააღმდეგება პოტსდამის გადაწყვეტილებას საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შექმნის შესახებ და რასაც შეუძლია მხოლოდ შეაფერხოს მშვიდობის აღდგენა შორეულ აღმოსავლეთში.

ამიტომ შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის უსწრაფესი აღდგენისა და იაპონიისა და მისი ხალხისათვის მშვიდობიანი განვითარების შესაბამისი პირობების მინიჭების მიზნით, საბჭოთა მთავრობა წინადადებას იძლევა მოწვეულ იქნას 1948 წლის იანვარში საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სპეციალური სესია ჩინეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთა შემადგენლობით იაპონიისათვის მშვიდობიანი მოწესრიგების მომზადების საკითხის განსახილველად. არის წინადადება, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს აღნიშნული სესია მოწვეულ იქნას ჩინეთში, თუ ჩინეთის მთავრობა ამას სასურველად ჩასთვლის.

თქვენი დიდი მადლობელი ვიქნებით ჩინეთის მთავრობის სწრაფი პასუხისათვის ამ საკითხზე, რათა ჩინეთის მთავრობისა და ორი სხვა დაინტერესებული მთავრობის თანხმობის შემთხვევაში ზემოთ მოყვანილ წინადადებებზე, რაც შეიძლება სწრაფად იქნას მიღებული მოსამზადებელი ზომები.

ანალოგიური წინადადება ჩემს მიერ გაეგზავნა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს. (საქდესი).

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში

ამ დღეებში უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში შესდგა ფიზკულტურისა და სპორტის სექციის სხდომა, მიძღვნილი მომავალი მსოფლიო ოლიმპიადისადმი, რომელიც 1948 წელს ჩატარდება ლონდონში.

საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ამხ. ბ. ჩიკვაიძემ ვრცელი მოხსენება გააკეთა თემაზე: „ოლიმპიური ასპარეზობის ისტორია". მსოფლიო რეკორდსმენი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ამხ. ნ. დუმბაძე გამოვიდა ინფორმაციით უკანასკნელი ოლიმპიადის შესახებ, რომელიც 1936 წელს შესდგა.

უცხოეთის უძლიერეს სპორტსმენებთან შესახვედრად საბჭოთა სპორტსმენების მზადების შესახებ ილაპარაკეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ამხ. გოლდშტეინმა, ფიზკულტურის თბილისის კომიტეტის ინსპექტორმა ამხ. თავართქილაძემ, სსრ კავშირის იმ ნაკრები გუნდის მოთამაშემ, რომელმაც 1947 წელს ევროპის ჩემპიონის წოდება მოიპოვა კალათბურთში—ამხ. ქორქიამ, „დინამოს" მწვრთნელმა გიმნასტიკაში ამხ. მამარდაშვილმა, საქართველოს სახელმწიფო მწვრთნელმა მძლეოსნობაში ამხ. გიორგაძემ და საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტთან არსებული ალპინიზმის სექციის თავმჯდომარემ ამხ. გვალიამ. (საქდესი).

გულმოდგინედ მოვემზადოთ ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის!

თბილისი. ბერიას რაიონის 27-ე საარჩევნო უბნის აქტივისტი ამხ. ლ. ფარულავა (მარცხნივ) ეხმარება რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაკებს საარჩევნო სიის დაზუსტებაში (განათლების ქ. № 5).

ფოტო რ. აკოფოვისა და ვლ. გინზბურგისა.

კოლმეურნეები სწავლობენ არჩევნების დებულებას

საღამოვდება. აგიტატორებმა და ...მკითხველ-მესაუბრეებმა თავი მოი...ეს კოლმეურნეობის ახალ კლუბში. ...ნი ბაასობენ ადგილობრივი საბჭოე...ს არჩევნების დებულების გარშემო.

რამდენიმე წუთის შემდეგ სჯა-ბა...ი შეწყდა. აგიტკოლექტივის ხელ...ძღვანელი რ. ჯობავა შეუდგა სემინა...ს თემის გარჩევას — საქართველოს ...რ ადგილობრივი საბჭოების არჩევ...ბი და აგიტატორთა ამოცანები. მან ...მენელებს გააცნო საქართველოს სსრ ...ა აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი ...ბჭოების არჩევნების დებულების ძი...თადი საკითხები და განმარტა საბ...თა საარჩევნო სისტემის თანმიმ...ევრული დემოკრატიზმი. ილაპარაკა ...რსული არჩევნების პერიოდში შეძე...ლი სააგიტაციო მუშაობის გამოცდი...ებასა და მიმდინარე მუშაობაში მისი ...მოყენების შესახებ.

სემინარზე გაირკვა თეორიული და ...აქტიკული ხასიათის მრავალი სა...თხი, გაირკვა, თუ როგორ დაეკავში...ბინათ აგიტატორებს თავიანთი სა...ბრები მოსავლის აღებისა და ახალ ...არმოო ვალდებულებათა შესრულე...ს ამოცანებთან.

პარტიულმა ორგანიზაციამ გადადგა ...რეული ნაბიჯები, დამატებით გამო...ო აგიტატორები ციტრუსების სა...რგეში, საკოლმეურნეო ფერმასა და ...ლმეურნეობის გამგეობის კანტორა... მომუშავეთა შორის არჩევნების ...ბულების პოპულარიზაციისათვის.

მეციტრუსე კოლმეურნეთათვის სა...რჩევნო კანონის გაცნობას შეუდგა ...იტატორი ოლღა თუნგია. იგი ამ ...ფლის მოწინავე მასწავლებელია, ...აღლესი საბჭოების არჩევნების ...ოს აქვე ეწეოდა საარჩევნო აგიტა...ას, მას შემდეგაც არ შეუწყვეტია ...ბთან მუშაობა. იგი კოლმეურნეებს ...საგებად მოუთხრობს საბჭოთა მოქა...აქის დიად უფლებებსა და მოვალეო...ბზე, მათს შრომით გმირობაზე. მი... სიტყვები მსმენელთა გულსა და ...ნებას სწვდება.

— ჩვენს შორის,—სთქვა ერთ-ერთი ...უბრის დროს ამხ. თუნგიამ,—არის ...ელსაგან პატივცემული კოლმეურნე ...ანე მირცხულავა. იგი 70 წლისაა. 40 ...ლი მან უუფლებობაში გაატარა. ...ბჭოთა ხელისუფლების დამყარების ...მდეგ მან პირველად იგრძნო ადამია...ური უფლების ძალა, პირველად და...სდა მისი შრომა. იგი სოხუმის რა...ნში ცნობილი მეციტრუსეა, ყოველ-წლიურად მოჰყავს ციტრუსების უხვი მოსავალი.

წამოდგა ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსე მოხუცი.

— ამხანაგებო,—განაცხადა ივანემ,— როგორც აქ სთქვეს, ორმოცი წელი გავატარე არაადამიანურ პირობებში, მაგრამ ჩემი ცხოვრების უკანასკნელმა 30 წელმა წარსულში განცდილი ტანჯვა თითქმის დამავიწყა. ახლა ჩემი თავი და ნაშრომი მე მეკუთვნის. ღარიბი ვიყავი, მდიდარი გავხდი, წერა-კითხვის უცოდინარი ვიყავ, ახლა გაზეთებს ვკითხულობ... მოხუცის სიტყვებს სულგანაბული უსმენდნენ კოლმეურნეები.

მეხუთე ბრიგადის აგიტატორმა მ. ბოჯოლიანმა არჩევნების თემაზე საუბარი დაუკავშირა საშემოდგომო სამუშაოთა მიმდინარეობის საკითხებს. მან დამსწრეთ აცნობა, რომ კოლმეურნეთა თავდადებული შრომის შედეგად დიდი ბელადისათვის მიცემული პირობა გადაჭარბებით არის შესრულებული — 50 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 12 ცენტნერის ნაცვლად მიღებულია 15 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო. ამასთან კოლმეურნეობა წელს უხვად იღებს სიმინდისა და ციტრუსების ნაყოფს. 75 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე უკვე აღებულია 22 ცენტნერი სიმინდი. კოლმეურნეობა მოჰკრეფს 1,5 მილიონ ციტრუსს—ორჯერ მეტს შარშანდელთან შედარებით.

ხვავითა და ბარაქით აივსო სოფელ გუმისთის (სოხუმის რაიონი) რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა ოჯახები. კოლმეურნეობა წელს მიიღებს სულ მცირე 3 მილიონ მანეთ ფულად შემოსავალს, ნაცვლად 1942 წელს მიღებული 131 ათასი მანეთისა, და შრომადღეზე განაწილდება 30 მანეთი, ხოლო ცალკეული კოლმეურნეები მიიღებენ 50-60 მანეთს.

20-ზე მეტი აგიტატორი ასწავლის ამომრჩევლებს საარჩევნო კანონს კოლმეურნეობაში. მოხუცი კოლმეურნეები იგონებენ რევოლუციამდელ დუხჭირ ცხოვრებას. ისინი ახალგაზრდებს უამბობენ მათი სოფლის გლეხკაცობის წარსულ უღიმღამო და უფერული ცხოვრების შესახებ. ეს კიდევ უფრო აღრმავებს მშრომელთა სიყვარულს სოციალისტური სამშობლოსადმი, სადაც ადამიანი თავისუფლად აშენებს ახალ, სასიხარულო ცხოვრებას.

ს. შონია

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ლენინის რაიონული საბჭოს არჩევნების რაიონული საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა

...უდიდესი პასუხისმგებლობით შეუდ...ენ არჩევნებისათვის მზადებას მშრო...ლთა დეპუტატების ლენინის რაიო...ლი საბჭოს არჩევნების რაიონული, ...ლქო და საუბნო საარჩევნო კომი...ები.

...სარაიონო საარჩევნო კომისიამ (თავ...მჯდომარე ა. ჯორბენაძე, მდივანი გ. ...ეზაძე) საუკეთესოდ მოაწყო თავისი ...ნობა. მიმდინარეობს შენობის ფასა...ს გაფორმება. ამ მუშაობაში ჩაბმუ...ა რაიონის აქტივი.

...შედგა სარაიონო საარჩევნო კომი...ს პირველი სხდომა, რომელმაც და...ტკიცა საარჩევნო კომისიის სამუშაო ...მა, დააწესა მორიგეობა და კომისი... წევრები მიამაგრა საარჩევნო უბ...ბსა და საარჩევნო ოლქებზე.

საარჩევნო კომისიის წევრებმა: ნ. ლოლაძემ, თ. სირბილაძემ, თ. თავამაიშვილმა ილაპარაკეს იმ დიდ ამოცანებზე, რომლებიც მათ აკისრიათ არჩევნებთან დაკავშირებით და წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი.

— ის დიდი ნდობა,—დაასკვნა სხდომის დასასრულ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ჯორბენაძემ, — რომელიც ჩვენ გამოგვიცხადეს რაიონის მშრომელებმა, საქმით უნდა გავამართლოთ. ჩვენს რაიონში შემოდის 128 რაიონული და 64 საქალაქო საარჩევნო ოლქი. ჩვენი ვალია ყოველდღიური ოპერატიული ხელმძღვანელობა გავუწიოთ მათ, უპირველეს ყოვლისა ჩვენ მათ უნდა დავეხმაროთ ამომრჩეველთა სიების დაზუსტებაში.

ქუთაისის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა

ქალაქ ქუთაისის საწარმოთა კოლექ...ვებმა სოციალისტური შეჯიბრების ...ართოდ გაშლის შედეგად თვალსაჩი... წარმატებას მიაღწიეს და საერთო ...როდუქციის გამოშვების წლიური ...გმა 27 ნოემბრისათვის 100,1 პრო...ცენტით შეასრულეს.

...საავტომობილო ქარხანამ წლიური ...გმა შეასრულა 163,4 პროცენტით, ლიტოპონის ქარხანამ — 104,2 პროცენტით, „საქნავთბარიტმა“ — 105 პროცენტით, მაუდის ფაბრიკამ—111,1 პროცენტით, ტყავფეხსაცმლის კომბინატმა—110,6 პროცენტით, სამკერვალო ფაბრიკამ — 116,7 პროცენტით. ადგილობრივი მრეწველობის კომბინატმა—110,2 პროცენტით და ა. შ.

კონსულტაცია

ამომრჩეველთა სიები

არც ერთ ბურჟუაზიულ კონსტიტუციასა და საარჩევნო კანონში არ არის ისეთ სიმაღლეზე აყვანილი ადამიანის უფლებისადმი პატივისცემა და ამ უფლების განხორციელების გარანტიები, როგორც ჩვენს სტალინურ კონსტიტუციაში, საბჭოთა საარჩევნო კანონში. საბჭოთა საარჩევნო სისტემა პრინციპულად განსხვავდება ბურჟუაზიული ქვეყნის საარჩევნო სისტემისაგან. იმ დროს, როდესაც საბჭოთა საარჩევნო კანონი უზრუნველჰყოფს მშრომელთა მასობრივ მონაწილეობასა და აქტივობას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ბურჟუაზიული ქვეყნების საარჩევნო კანონი დამყარებულია მშრომელთა ექსპლოატაციასა და დამონებაზე, პოლიტიკური ცხოვრებიდან მათი განდევნის ფაქტებზე.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში დაწესებული ქონებრივი, ბინადრობის, ასაკობრივი, განათლების ცენზი და სქესთა შორის განსხვავებანი, მშრომელებს უზღუდავს უფლებას მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. მარტო ინგლისში ასაკობრივი ცენზი არჩევნებიდან გამორიცხავს 2 მილიონ მოქალაქეს. ინგლისის კოლონიებისა და დომინიონების მოსახლეობის უმრავლესობას არა აქვს საარჩევნო უფლება. ასევეა ამერიკაში. იქ არჩევნებში მონაწილეობას არ ღებულობს მოქალაქე, თუ მას 21 წელი არ შესრულებია. გარდა ამისა, ბინადრობის ცენზი დაწესებულია 2-დან 3 წლამდე. 13 მილიონი ზანგი სრულიად მოკლებულია არჩევნებში მონაწილეობის უფლებას. საარჩევნო უფლებას მოკლებული არიან ამჟამადაც ქალები საბერძნეთსა და ესპანეთში, სადაც ფაშისტური რეჟიმი ბატონობს. და, ყოველივე ეს იმ დროს, როდესაც მდიდრებს უფლება ეძლევათ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა. საბჭოთა საარჩევნო კანონმა არ იცის მოქალაქეთა უფლების შეზღუდვის მსგავსი შემთხვევები. ჩვენში არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს მოქალაქეთა უფლების უგულებელყოფას.

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების პირველ თავში ჩაწერილია, რომ ყველა მოქალაქე, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, არჩევნებში მონაწილეობს თანასწორ საფუძველზე, თვითეულ მოქალაქეს ერთი ხმა აქვს, ხოლო ქალები არჩევნებში სარგებლობენ მამაკაცების თანასწორი უფლებით. საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილია დაუბრკოლებლად განახორციელოს თავისი მოქალაქეობრივი უფლებანი. სწორედ ამიტომ, მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამომრჩეველთა სიების შედგენას. ეს არ არის უბრალო ტექნიკური საქმე. ამომრჩეველთა სიების ზუსტად შედგენას უდიდესი პასუხისმგებლობით უნდა მოვეპყროთ, უნდა შევასრულოთ დებულების ყოველი პუნქტის მოთხოვნა, რათა განუხრელად დავიცვათ საბჭოთა საარჩევნო კანონი.

არჩევნების დებულებით ამომრჩეველთა სიების შედგენა დაკისრებული აქვთ ქალაქებში—მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებს, რაიონებად დაყოფილ ქალაქებში—რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, დაბებში—სადაბო საბჭოების აღმასკომებს, ხოლო სოფლად — მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასკომებს. სამხედრო ნაწილებსა და ჯარის შენაერთებში ამომრჩეველთა სიები სდგება მეთაურის ხელმოწერით. ყველა დანარჩენი სამხედრო მოსამსახურე ამომრჩეველთა სიებში შეაქვთ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სათანადო აღმასრულებელ კომიტეტებს.

საარჩევნო სიებში შეტანილ უნდა იქნას ყველა მოქალაქე, რომელსაც საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციით მინიჭებული აქვს საარჩევნო უფლება, სიების შედგენის დროს მუდმივად ან დროებით ცხოვრობს სათანადო საბჭოს ტერიტორიაზე და არჩევნების დღისათვის 18 წელი უსრულდება. ამომრჩეველთა სიები ზუსტად უნდა შევადგინოთ, რათა სიაში არ გამოვტოვოთ საარჩევნო ხმის უფლების მქონე არც ერთი მოქალაქე. ამავე დროს არც ერთი მოქალაქე არ უნდა იქნას შეტანილი ერთზე მეტ საარჩევნო სიაში, ამომრჩეველთა სიაში არ უნდა იქნან შეტანილი ის პირნი, რომელთაც სასამართლო განაჩენით ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლება მოცემული პერიოდისათვის, აგრეთვე ის პირნი, რომელნიც კანონით დადგენილი წესით ცნობილი არიან შეშლილებად.

ამ მხრივ სულ სხვა მდგომარეობაა ბურჟუაზიულ ქვეყნებში. მაგალითად, ინგლისში, ერთი და იგივე პირი იღებს მონაწილეობას რამდენიმე ოლქში, და მაშასადამე აქვს რამდენიმე ხმა: კაპიტალისტი, რომელსაც სხვადასხვა ოლქებში აქვს საწარმო, მონაწილეობას იღებს არჩევნებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვითაც და იმ ოლქის მიხედვითაც, სადაც მისი საწარმო იმყოფება.

ამომრჩეველთა სიების შედგენა სწარმოებს თვითეული საარჩევნო უბნის მიხედვით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმით ანბანის რიგის მიხედვით, სადაც უნდა ჩაიწეროს ამომრჩევლის გვარი, სახელი და მამის სახელი, ასაკი და საცხოვრებელი ადგილი. ამომრჩეველთა სიები საერთოა მშრომელთა დეპუტატების ყველა საბჭოების არჩევნებისათვის და მოცემულ გრაფაში აღინიშნება სათანადო საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების ნომრები. ამომრჩეველთა სიებს ხელს უნდა აწერდნენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე და მდივანი, ან სამხედრო ნაწილის, შენაერთის მეთაური. სიის დედანი უნდა ინახებოდეს შესაბამის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, სამხედრო ნაწილში ან ჯარის შენაერთში. ამომრჩეველთა სიები სდგება ქალაქად საბინაო წიგნების, ხოლო სოფლად კოლმეურნეობის წევრთა სიებისა და საკომლო დავთრების მიხედვით. ახალგაზრდებმა, რომელთაც არჩევნების დღეს 18 წელი უსრულდებათ, უნდა წარადგინონ პასპორტი ან დაბადების მოწმობა, სადაც ზუსტად იქნება აღნიშნული დაბადების თვე და რიცხვი.

საარჩევნო კანონი მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტებს ავალებს, რომ არჩევნებამდე 35 დღით ადრე უზრუნველჰყონ ამომრჩეველთა სიების გამოკვრა საბჭოს ან საარჩევნო უბნის შენობაში ყველა ამომრჩევლის გასაცნობად. საუბნო საარჩევნო კომისია, რომელიც ამომრჩევლებთან უშუალო კავშირში იმყოფება, უნდა დაეხმაროს სათანადო საბჭოს აღმასკომს ამომრჩევლებისათვის სიების გაცნობასა და დაშვებულ შეცდომათა გამოსწორებაში.

როდესაც ამომრჩეველი გამოიცვლის ადგილსამყოფელს სიის გამოქვეყნებიდან არჩევნების დღემდე, იგი შეტანილი უნდა იქნას ამომრჩეველთა სიაში ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამისათვის არჩევნების დებულება ითვალისწინებს, რომ მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭოს აღმასკომმა ამომრჩეველს მისცეს „ხმის მიცემის უფლების მოწმობა“ და სიაში აღნიშნონ „წავიდა“. მუდმივ ან დროებითი საცხოვრებელ ადგილზე ეს ამომრჩეველი შეაქვთ ახალ სიაში აღნიშნული მოწმობისა და პირადობის მოწმობის წარდგენისას. „ხმის მიცემის უფლების მოწმობის“ ფორმას აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. დებულების ამ პუნქტში ცხადად მოსჩანს, თუ რა დიდად არის დაინტერესებული საბჭოთა ხელისუფლება, რომ ყველა მოქალაქემ მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში.

ასეთი ზრუნვის ნასახსაც კი ვერ ვხედავთ კაპიტალისტურ ქვეყნებში. იქ თუ პიროვნებამ გამოიცვალა საცხოვრებელი ადგილი, ბინადრობის ცენზის გამო, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში დაწესებულია 3 თვიდან — 3 წლამდე, ჰკარგავს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას. არჩევნების პერიოდში მოგზაურობის დროს ხმის უფლების მოწმობის გაცემასა და არჩევნებში სხვაგან მონაწილეობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ამომრჩეველთა სიების საყოველთაო გასაცნობად გამოქვეყნება 35 დღით ადრე საშუალებას აძლევს ამომრჩეველს დროულად შეამოწმოს: ხომ არ არის იგი სიაში გამოტოვებული, ხომ არ არის დამახინჯებული მისი გვარი, სახელი ან მამის სახელი, სწორად არის თუ არა ჩაწერილი დაბადების წელი და მისამართი. ასეთ შემთხვევაში არჩევნების დებულება ყოველ მოქალაქეს ანიჭებს უფლებას გაასაჩივროს სიებში შეუტანლობა ან სიიდან ამოშლა, დამახინჯებანი ან საარჩევნო უფლებაჩამორთმეულ პირთა სიებში შეტანა. საამისოდ განცხადება უნდა შეიტანონ მშრომელთა დეპუტატების იმ საბჭოში, რომელმაც სია გამოაქვეყნა. საბჭოს აღმასკომი ვალდებულია სამ დღეში განიხილოს ეს განცხადება და შეიტანოს საჭირო შესწორება ამომრჩეველთა სიაში ან განმცხადებელს მისცეს წერილობითი ცნობა მისი განცხადების უარყოფის მიზეზის აღნიშვნით.

მომჩივანს, რომელიც საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, შეუძლია სახალხო სასამართლოს მიმართოს. სასამართლო ვალდებულია სამი დღის ვადაში განიხილოს საჩივარი ღია სხდომაზე განმცხადებლისა და საბჭოს წარმომადგენლის თანდასწრებით და გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აცნობოს როგორც განმცხადებელს, ისე მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭოს აღმასკომსაც. სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა.

არჩევნების დებულების მეორე თავის ყოველი პუნქტი ეხება ამომრჩეველთა სიების შედგენას, მიმართულია მოქალაქეთათვის სტალინური კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების თანმიმდევრული განხორციელებისაკენ, იგი ნათლად მოწმობს ჩვენი არჩევნების ხალხურობას, საბჭოთა ადამიანის შეუზღუდველ უფლებებს.

ქართველ და უკრაინელ კოლმეურნეთა შეჯიბრება

მეათე წელია, რაც ერთმანეთთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობისა და მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრები. დიდი სამამულო ომის წლებში ქართველ და უკრაინელ კოლმეურნეთა მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა. ორჯონიკიძის სახელობის ორდენოსანი კოლმეურნეობის წევრებმა ომის დროს სატანკო კოლონის მშენებლობის ფონდში დამატებით შეაგროვეს ერთი მილიონი მანეთი და დიდ სტალინს თხოვნით მიმართეს — ამ თანხით აგებული ტანკები უკრაინაში გაეგზავნათ მოძმე გენიჩესკელების გასათავისუფლებლად.

ეს მხოლოდ ერთი ეპიზოდია იმ ძმური დახმარებისა, რასაც მახარაძელი კოლმეურნეები უწევდნენ ომის წლებში გენიჩესკელ კოლმეურნეებს.

სტალინის სახელობის კოლმეურნეობა

უკრაინის სსრ ხერსონის ოლქში სტალინის სახელობის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა. კოლმეურნეებმა ომის დამთავრებისთანავე აღადგინეს გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მიერ დანგრეული კანტორა, სკოლა, კლუბი, სამკითხველო და სხვა ნაგებობანი.

შარშანდელთან შედარებით წელს ნათესი ფართობი 300 ჰექტარით გაზარდეს. აღმავლობის გზაზეა მეცხოველეობა, ჰყავთ 735 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 280 ცხენი, 230 ხარი, 4.900 ცხვარი.

კოლმეურნეობამ წარმატებით გაანაღდა დიდი სტალინისათვის მიცემული პირობა, ვადამდე გადამეტებით შეასრულა პურის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა, დაამზადა 14.050 ცენტნერი ხორბალი, 137 პროცენტით შეასრულა მეცხოველეობის განვითარების გეგმა, სახელმწიფოს ჩააბარა 8 ათას კილოგრამზე მეტი მერინოსის მატყლი.

მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში ასობით კოლმეურნემ ისახელა თავი. ფილიპე სეჩენის ბრიგადამ 130 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე ნაცვლად 10,3 ცენტნერისა მოიყვანა 15 ცენტნერი ხორბალი, ო. ნეჩიპას ბრიგადამ 25 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე—19,5 ცენტნერი, ლიზა ბოგდოევის ბრიგადამ 36 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე—16,5 ცენტნერი. მწველავმა დ. ონიშჩენკომ 470 შრომადღე გამოიმუშავა. კოლმეურნეები ენერგიულად იბრძვიან საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა

302 ჰექტარი ციტრუსოვანთა პლანტაცია საუკეთესოდ არის მოვლილი. წელს კოლმეურნეობა სახელმწიფოს აბარებს 11 მილიონ ცალ ციტრუსოვანთა ნაყოფს. კოლმეურნეობას 150 ჰექტარი ჩაის პლანტაცია აქვს, სახელმწიფოს ჩააბარა 535 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. 68 ჰექტარი ტუნგოს პლანტაციიდან 60 ტონა ნაყოფს იღებს. კოლმეურნეობამ სიმინდის კარგი მოსავალი აიღო, ჰექტარზე საშუალოდ 25 ცენტნერი, ნაცვლად 14 ცენტნერისა. მათ შორის 15,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე—71,6 ცენტნერი.

გაცხოველებით მიმდინარეობს ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა და სახელმწიფოსათვის ჩაბარება, ნარგავებისა და ნერგების ზამთრისათვის მომზადება, ჩაისა და ციტრუსების ახალი პლანტაციების მოწყობა, ტუნგოს ნაყოფის კრეფა და დამზადება, პირუტყვის გამოზამთრებისათვის ზრუნვა.

კოლმეურნეობამ ვადამდე შეასრულა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმები. მისი საერთო შემოსავალი წელს 9 მილიონ მანეთს გადააჭარბებს. შრომადღეზე გასცემენ 5 კილოგრამ სიმინდს და 30 მანეთს (შარშან შრომადღეზე გასცეს 3 კილოგრამი სიმინდი და 28 მანეთი).

ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრებაში ჩაბმულია 19 ბრიგადა, 35 რგოლი, 400-ზე მეტი კოლმეურნე.

კოლმეურნეობის ბრიგადირმა კარლო გორგილაძემ გადამეტებით შეასრულა დიდი სტალინისათვის გაგზავნილ წერილში ნაკისრი ვალდებულება და 13 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 5.500 კილოგრამის ნაცვლად 8.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი აიღო. მეექვსე ბრიგადამ, რომელსაც დ. კუბუსიძე ხელმძღვანელობს, 50 ტონის ნაცვლად აიღო 65 ტონა ჩაის ფოთოლი. ნ. ჩხაიძის ბრიგადა წელს 3 მილიონ ცალ ციტრუსის ნაყოფს ჩააბარებს სახელმწიფოს, ნახევარი მილიონით მეტს, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული. მეათე ბრიგადამ (ხელმძღვანელი ს. ქარჩავა) 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე აიღო 50 ცენტნერი სიმინდი. ნინო გოგოძემ 650 შრომადღე გამოიმუშავა, ელენე ხელაძემ—500. ასეთი მოღვაწე აქ ბევრს აქვს.

უკრაინელი სტუმრები

ამას წინათ სოფელ შრომის კოლმეურნეობას ესტუმრა მოძმე უკრაინის კოლმეურნეთა დელეგაცია. ეს სტუმრობა ხალხთა სტალინური მეგობრობის მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა. დელეგაციის მონაწილენი სტუმართმოყვარე ქართველ კოლმეურნეებს ოჯახიდან ოჯახში გადაჰყავდათ.

— 1942 წელს, როცა უკრაინის წმიდათა წმიდა მიწაწყალს გერმანელი ფაშისტები სთელავდნენ, — სთქვა დელეგაციის მონაწილემ, მოხუცმა მებაღემ ვ. პონომარიოვმა, — ჩემი შვილი ნიკიტა ფრონტზე დაიჭრა. მკურნალობის შემდეგ მას შვებულება მისცეს. შინ დაბრუნება სურდა, მაგრამ ბინა არ ჰქონდა და, როგორც საკუთარ მშობლიურ ოჯახში, სოფელ შრომის კოლმეურნეობაში წამოვიდა — ქართველ მეგობრებთან. აქ განიკურნა და ახალი ენერგიით დაუბრუნდა ფრონტს. გმადლობთ ჩემს ოჯახზე ზრუნვისათვის ძვირფასო მეგობრებო!

კვლავ განახლდა შეჯიბრება

გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის და მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებმა კვლავ განაახლეს სოციალისტური შეჯიბრება 1948 წელს უხვი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის. უკრაინელ კოლმეურნეთა ვალდებულებანი ასეთია: 1948 წელს ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 30 ცენტნერი ხორბალი, 25 ცენტნერი სიმინდი, 170 ცენტნერი ბოსტნეული, 100 ცენტნერი კარტოფილი, საგაზაფხულო ხვნა დაამთავრონ 15 მაისისათვის, მზრალად ხვნა კი 1 ნოემბრისათვის, 100 დედაცხენზე შეინარჩუნონ 80 კვიცი, 100 ძროხაზე — 90 ხბო, 100 ცხვარზე — 110-120 ბატკანი. თვითეულ სულ მერინოსის ცხვარზე მიიღონ 4,5 კილოგრამი მატყლი, მოაწყონ მეფუტკრეობის 30-ოჯახიანი ფერმა, დამატებით გააშენონ 10 ჰექტარი ხეხილის ბაღი, ააგონ თავლა, ბოსელი, კრამიტის ქარხანა და სკოლის შენობა.

თავის მხრივ ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ იკისრა: 1948 წლის 1 აპრილისათვის დაამთავროს 324 ათასი ძირი ციტრუსის შემობარვა, სრული დოზით შეიტანოს ნიადაგში მინერალური და ორგანული სასუქები, ოთხჯერ გათოხნოს და სამჯერ შეწამლოს პლანტაციები. მომავალ წელს სამშობლოს მისცეს 15 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, მიიღოს სულ მცირე 600 ათასი კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, სიმინდის საშუალო მოსავალი ჰექტარზე აიყვანოს 30 ცენტნერამდე. წლის პირველ ნახევარშივე შეასრულოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების წლიური ვალდებულება. დაამთავროს ორსართულიანი სახლის მშენებლობა, სადაც მოთავსებული იქნება კოლმეურნეობის კანტორა, კლუბი და ბიბლიოთეკა.

სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. ბუდეიმ, ბრიგადირებმა ნეჩიპამ, სეჩინმა, მწველავმა ონიშჩენკომ, ზოოტექნიკოსმა მაზუნოვმა, მებაღე პონომარიოვმა და სხვებმა, სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა სახელით: კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. ორაგველიძემ, პარტორგანიზაციის მდივანმა ა. ჩიგოგიძემ, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ მ. ქველაძემ, ბრიგადირებმა ს. ჯაყელმა და კ. გორგილაძემ, აგრონომმა გ. მეგრელიშვილმა, მერგოლურმა ე. ხელაძემ და სხვებმა.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით საკოლმეურნეო სოფელში დიდ წარმატებას აღწევენ. კოლმეურნეები ემზადებიან იმისათვის, რომ საბჭოებში დეპუტატებად აირჩიონ მოწინავენი მოწინავეთა შორის, ისინი, ვინც ყოველდღიური თავდადებული შრომით ხელს უწყობენ კოლმეურნეობის შემდგომ განმტკიცებასა და გაძლიერებას.

ლ. ლოლაძე

მზრალად ხვნა

ნოემბრის მეხუთე ხუთდღიურში საქართველოს კოლმეურნეობებმა მზრალად მოხნეს 5.431 ჰექტარი. სულ 25 ნოემბრისათვის მოხნულია 124.425 ჰექტარი, რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 83 პროცენტით.

მზრალად ხვნის გეგმები გადაჭარბებით არის შესრულებული თბილისის, წითელწყაროს, თეთრი წყაროსა და ხაშურის რაიონებში.

მარტო ხაშურის რაიონმა მზრალად მოხნა 8.305 ჰექტარი. წითელწყაროსამ — 7.303, ახალქალაქის რაიონმა — 22.150 ჰექტარი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებმა მზრალად ხვნის გეგმა 82,4 პროცენტით შეასრულეს, ახალქალაქის რაიონისამ—98,4, ბოგდანოვკის — 90,8, ახალციხის — 94,8, ასპინძის—93,1, ადიგენის—69, ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობებმა —66,7 პროცენტით.

დმანისის რაიონში მზრალად ხვნის გეგმის შესრულება 41,1 პროცენტს არ აღემატება (3.000 ჰექტარიდან მოხნულია მხოლოდ 1.233 ჰექტარი), საგარეჯოს რაიონში — 43,1 პროცენტი, კასპის რაიონში—46,7 პროცენტი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე

პალესტინის საკითხის განხილვა

ნიუ-იორკი, 26 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გენერალური ასამბლეის პლენუმი დღეს შეუდგა თავისი დღის წესრიგის უკანასკნელი საკითხის — პალესტინაში ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს — არაბთა და ებრაელთა სახელმწიფოების — შექმნის გეგმის შესახებ პალესტინის საკითხის სპეციალური კომიტეტის მოხსენების განხილვას. მოხსენების გამო გამართულმა დისკუსიამ ცხადჰყო, რომ ინგლისისა და ამერიკის დელეგაციები აშკარად არ ამრუდებენ პალესტინის საკითხის გადაწყვეტას, მაგრამ ამავე დროს ორპირულ პოზიციაზე დგანან, ხელს უწყობენ ხმების გათიშვას, რასაც შეუძლია გამოიწვიოს საკითხის გადაწყვეტის ჩაშლა. (იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილმა გეგმამ ვერ შეაგროვა საჭირო ორი მესამედი ხმის უმეტესობა).

ბრიტანეთის დელეგატმა კადოგანმა თავის გამოსვლაში კვლავ აღიარა, რომ ბრიტანეთის მთავრობამ ვერ შეასრულა მანდატის პირობები და ვერ გადასწყვიტა პალესტინის პრობლემა. კადოგანმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის მთავრობა „ხელს არ შეუშლის არც ერთი იმ გადაწყვეტილების განხორციელებას, რომელსაც ასამბლეა მიიღებს“, ამავე დროს სთქვა, „ბრიტანეთის მთავრობა ვერ შეურიგდება, რომ მისი ჯარები გამოიყენონ ისეთ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, რომლებიც ორივე მხარეს არ მიუღია პალესტინაში“.

ბევრი ვერაფერი გაარკვია ვერც ამერიკის დელეგატის ჯონსონის გამოსვლამ. მან აღიარა, რომ წარმოდგენილი გეგმა უზრუნველჰყოფს პალესტინის პრობლემის გადაწყვეტას და რომ შეუძლებელია ისეთი გეგმის შემუშავება, რომელიც ერთნაირად მისაღები იქნებოდა ორივე მხარისათვის. ამავე დროს ჯონსონმა არ გამოსთქვა გეგმის პირდაპირი მოწონება და ხმარობდა ორპირულ გამოთქმებს: „თუ გეგმა მიღებულ იქნა...“, „თუ პალესტინის გაყოფა მოწონებულ იქნა...“.

ამ დელეგაციების ნამდვილ პოზიციას შუქი მოჰფინა ორი დელეგატის გამოსვლამ, რომლებიც ჩვეულებრივ ფოტოგრაფიული სიზუსტით გამოხატავენ თავიანთი ბატონების აზრს. ფილიპინების დელეგატმა რომულომ განაცხადა, რომ იგი პალესტინის „ტერიტორიული დანაწილებისა და პოლიტიკური გაყოფის წინააღმდეგია“ და ხმას არ მისცემს წარმოდგენილ გეგმას. ანალოგიური განცხადება გააკეთა საბერძნეთის დელეგატმა.

საუდის არაბეთის, იემენისა და ეგვიპტის დელეგატებმა გაილაშქრეს წარმოდგენილი გეგმის წინააღმდეგ. ეგვიპტის დელეგატმა განაცხადა: თუ გაყოფის შესახებ წინადადება მიღებულ იქნა, ეგვიპტე ზომებს არ მიიღებს მის შესასრულებლად. მან წინადადება შეიტანა აგრეთვე, რომ სთხოვონ საერთაშორისო სასამართლოს მისი აზრი, რამდენად „კომპეტენტურია ასამბლეა“ ამ საკითხში.

ლიბანის დელეგატი თავის სიტყვაში ცდილობდა ჩრდილი მიეყენებინა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკისათვის არაბული ქვეყნებისადმი, თუმცა მთელმა მსოფლიომ იცის, რომ საბჭოთა კავშირი არა ერთხელ გამოსულა და გამოდის არაბული აღმოსავლეთის ქვეყნების იმ კანონიერი მოთხოვნების დასაცავად, რომლებიც მიზნად ისახავენ მათ ეროვნულ უფლებათა უზრუნველყოფას.

პოლონეთის, შვეციის, კანადის, ბრაზილიის, ურუგვაის, ჰოლანდიის, ახალი ზელანდიისა და ბელგიის დელეგატებმა თავიანთ გამოსვლებში მხარი დაუჭირეს სპეციალური კომიტეტის წინადადებებს და განაცხადეს, რომ ისინი ხმას მისცემენ მათ.

პოლონეთის დელეგატმა ლანგემ სთქვა, რომ პალესტინის საკითხს ხშირად ხატავენ, როგორც დავას არაბთა და ებრაელთა შორის. ეს სწორი არაა, სთქვა მან. ეს არის დავა, ერთი მხრივ, არაბთა და ებრაელთა და, მეორე მხრივ, მანდატის მფლობელ ინგლისს შორის. ლანგემ აღწერა პალესტინის მდგომარეობა და სთქვა, რომ პალესტინაში დამყარებულია პოლიციური რეჟიმი. მან განაცხადა, რომ ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია. ლანგემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი გეგმა პალესტინის საკითხის გადაწყვეტისა რეალისტური მისაღები გადაწყვეტილებაა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს როგორც არაბთა, ისე ებრაელთა პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

საბჭოთა დელეგაციის სახელით ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ა. ა. გრომიკომ.

დისკუსია დამთავრდება და სპეციალური კომიტეტის გეგმას და მოხსენებას კენჭს უყრიან პარასკევს 28 ნოემბერს.

ნიუ-იორკი, 25 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). პალესტინის საკითხის კომიტეტმა პირველი ქვეკომიტეტის წინადადება პალესტინის ორ სახელმწიფოდ—არაბთა და ებრაელთა სახელმწიფოებად — გაყოფის შესახებ მიიღო 25 ხმის უმეტესობით 13 ხმის წინააღმდეგ (17 თავი შეიკავა). ამ წინადადებას ხმა მისცეს საბჭოთა კავშირმა, უკრაინის სს რესპუბლიკამ, ბელორუსიის სს რესპუბლიკამ, პოლონეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, ნორვეგიამ, შვეციამ, შეერთებულმა შტატებმა და სხვებმა. კენჭისყრაში თავი შეიკავეს ინგლისმა, საფრანგეთმა, ჩინეთმა, ინდოეთმა და სხვებმა.

გენერალური ასამბლეის სხდომა პალესტინის საკითხზე შესდგება ხვალ.

საფრანგეთის პოლიციის ხელისუფალთა ახალი ანტისაბჭოთა პროვოკაცია

პარიზი, 26 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ დილაადრიან საფრანგეთის პოლიციამ დააპატიმრა ხელმძღვანელი მოღვაწეები „საბჭოთა მოქალაქეების კავშირისა“, რომელიც აერთიანებს რუსეთის ყოფილ ემიგრანტებს, რომლებიც ამჟამად მიღებული არიან საბჭოთა მოქალაქეობაში. დაპატიმრებულთა შორის არიან „საბჭოთა მოქალაქეების კავშირის“ ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე კაჩვა, თავმჯდომარის მოადგილე კოვალიოვი, ცენტრალური კომიტეტის წევრები პალეოლოგი და სპირინი. დაპატიმრება მოხდა არა მარტო პარიზში, არამედ პროვინციაშიც, კერძოდ — ნიცაში. სულ, ფრანგ ხელისუფალთა მტკიცებით, დაპატიმრებულია 19 საბჭოთა მოქალაქე.

საფრანგეთში მცხოვრები საბჭოთა მოქალაქეების დაპატიმრება წარმოადგენს საფრანგეთის ხელისუფალთა ახალ ანტისაბჭოთა პროვოკაციას, რაც აშკარად ნავარაუდევია იმისათვის, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გართულებით ყურადღება ჩამოაშორონ საფრანგეთის შინაური მდგომარეობის ძირითად პრობლემებს, ეკონომიურ სიძნელეთა გამწვავებას, პროფაშისტური ელემენტების საქმიანობის გაძლიერებას, დეგოლისტების აქტივიზაციას. დაპატიმრებანი წარმოადგენენ ახალ პროვოკაციას, რაც ნავარაუდევია იმისათვის, რომ ყურადღება ჩამოაშორონ ყველა იმ პრობლემას, რომლებიც ფრანგი ხალხის მასების აღელვებას იწვევენ.

დამახასიათებელია, რომ საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ თავი შეირცხვინა ბორეგარის ბანაკზე თვითნებურ საპოლიციო თავდასხმასთან დაკავშირებით, ამჟამად, ფრანს პრესის სააგენტოს ცნობის მიხედვით, ცდილობს საბჭოთა მოქალაქეების გუშინდელი დაპატიმრებანი გაამართლოს იმით, თითქოს დაპატიმრებულნი „ერეოდნენ საფრანგეთის შინაურ საქმეებში, კერძოდ, უკანასკნელი დღეების სოციალურ მღელვარებათა გამო“.

იგივე სააგენტო გადმოგვცემს, რომ დაპატიმრებული საბჭოთა მოქალაქეები უკვე გაგზავნეს საფრანგეთიდან — ისინი თითქოს სპეციალური ავტობუსით მიიყვანეს „საზღვარზე“, რომელიც ჯერჯერობით დასახელებული არ არის.

საფრანგეთის პოლიციის ხელისუფალნი, როგორც სჩანს, ანგარიშს არ აძლევენ თავის თავს იმაში, რომ მათი მოქმედების ასეთი სიჩქარე ვერ ადასტურებს მათს მტკიცებას.

საფრანგეთის პოლიცია ცრემლმდენ გაზებს იყენებს ლიონის მუშათა წინააღმდეგ

რომი, 27 ნოემბერი. (საკდესი). ანსას სააგენტო გადმოგვცემს ლიონიდან მიღებულ ცნობას, რომ გუშინ შრომის ხაყოველთაო კონფედერაციის თაოსნობით მოწყობილ იქნა დემონსტრაცია, რომელიც ლიონის პრეფექტურისაკენ მიემართებოდა. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 10.000-მდე მშრომელმა. პოლიციამ დემონსტრანტთა წინააღმდეგ ცრემლმდენი გაზები იხმარა. ორი დემონსტრანტი დაიჭრა.

პოლიციის მნიშვნელოვანი ძალები დღემდე იცავენ პრეფექტურის შენობას.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია მოუწოდებს მოწვეულ იქნას გერმანიის სახალხო კონგრესი „ერთიანობისა და სამართლიანი ზავისათვის!“

ბერლინი, 27 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ შესდგა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური გამგეობის რიგგარეშე პლენუმი. პლენუმმა გადასწყვიტა გერმანიის დემოკრატიულ ორგანიზაციებს მიმართოს მოწოდებით, რომ მოწვეულ იქნას გერმანიის სახალხო კონგრესი „ერთიანობისა და სამართლიანი ზავისათვის!“.

„საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ლონდონის სესიამ,—ნათქვამია მოწოდების ტექსტში,—მუშაობა დაიწყო. იგი განიხილავს გერმანიის საზავო ხელშეკრულების მომზადების საკითხს. გერმანელ ხალხს სურს, რომ მოკავშირე სახელმწიფოები შეთანხმდნენ ამ საკითხზე. სამართლიან ზავზე დამოკიდებულია გერმანიის მომავალი. გერმანელ ხალხს სურს, რომ საზავო ხელშეკრულება დადებულ იქნას მასთან და რომ ლონდონის კონფერენციამ მოისმინოს გერმანელი ხალხის აზრი მისი წარმომადგენლების სახით. გერმანელი ხალხის ყველაზე ღირსეული წარმომადგენლები შეიძლება იყვნენ გერმანიის პოლიტიკური პარტიები.

სამწუხაროდ, ყველა ღონისძიება, რომელიც მიმართული იყო იმისაკენ, რომ მოწვეული ყოფილიყო პარტიების საერთო გერმანიის თათბირი საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციაზე გერმანელი ხალხის ინტერესების წარმომადგენლობის საკითხზე, მარცხით დამთავრდა. ეს მოხდა, რადგან ამას წინააღმდეგობას უწევდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და ბურჟუაზიული პარტიების ხელმძღვანელები ოკუპაციის დასავლეთ ზონებში. ასეთი თათბირის მოწვევას არ დათანხმდნენ არც ოკუპაციის საბჭოთა ზონის ქრისტიან-დემოკრატთა კავშირის ხელმძღვანელები. ამ პარტიის ხელმძღვანელებმა ერთ-ერთ გადამწყვეტ მომენტში უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს და ზღვის ანზარა სტოვებენ გერმანელ ხალხს.

გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას არ შეუძლია და არ სურს შეურიგდეს ასეთ მდგომარეობას. მას თავის მოვალეობად მიაჩნია გერმანელ ხალხს საშუალება მისცეს განაცხადოს თავისი სურვილები ლონდონის კონფერენციაზე და მიაღწიოს იმას, რომ მისი ხმა მოისმინონ. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია მოუწოდებს უკანასკნელ მომენტში განზე იქნას გადადებული ყველა უთანხმოება.

საქმე ეხება არა პარტიებს, არამედ მთელ ხალხს!

ბევრი ორგანიზაციის უკვე არსებული შეთანხმების საფუძველზე ჩვენ წინადადებით მოგმართავთ, რომ ყველა ანტიფაშისტურმა დემოკრატიულმა პარტიამ, პროფკავშირებმა და სხვა მასობრივმა ორგანიზაციებმა, დიდ საწარმოთა საწარმოო საბჭოებმა და კოლექტივებმა, გლეხთა ორგანიზაციებმა, მთელი გერმანიის მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენლებმა ხმა აღიმაღლოთ გერმანელი ხალხის სახელით.

ჩვენ მოგიწოდებთ დაესწროთ გერმანიის სახალხო კონგრესს „ერთიანობისა და სამართლიანი ზავისათვის“, რომელიც 1947 წლის 6-7 დეკემბერს შესდგება გერმანული ოპერის შენობაში.

კონგრესის დღის წესრიგია:

1. გერმანელი ხალხის მისწრაფება სამართლიანი ზავისაკენ, გერმანიის დემოკრატიისა და ერთიანობისათვის. მოხსენებანი და კამათი.

2. დელეგაციის არჩევა საგარეო საქმეთა მინისტრების ლონდონის კონფერენციაზე გასაგზავნად.

ჩვენ ვურჩევთ ყველა პარტიას, ორგანიზაციასა და დიდ საწარმოს დაუყოვნებლივ გამოეხმაურონ ჩვენს წინადადებას და ჩაატარონ მზადება დელეგაციის გამოსაგზავნად ამ სახალხო კონგრესზე. ამას უნდა მოჰყვეს ყველა საკითხის შემდგომი შეთანხმება ორგანიზაციებს შორის, რომლებიც მზად არიან მონაწილეობა მიიღონ კონგრესის მუშაობაში.

მოწოდებას გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური გამგეობის სახელით ხელს აწერენ ვილჰელმ პიკი და ოტო გროტევოლი.

გლეხთა პირველი ყრილობა ბერლინში

ბერლინი, 25 ნოემბერი. (საკდესი). 22 და 23 ნოემბერს ბერლინში შეიკრიბნენ გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის გლეხთა ურთიერთდახმარების კომიტეტების დელეგაციები, რათა განეხილათ გერმანიის გლეხობის ამოცანები და შეექმნათ გლეხთა ურთიერთდახმარების კომიტეტების ცენტრალური გაერთიანება, აგრეთვე გამოემუშავებინათ ამ გაერთიანების წესდება.

ყრილობაზე მოვიდნენ დელეგაციები გერმანიის ყველა მხარიდან და საოკუპაციო ზონიდან. დასავლეთი საოკუპაციო ზონების გლეხთა ორგანიზაციებმა ბერლინს მრავალი დელეგატი გამოგზავნეს. დელეგატებმა საფრანგეთის საოკუპაციო ზონიდან ჰესენის გლეხთა წარმომადგენლებს დაავალეს მათი საუკეთესო სურვილები გადაეცათ ყრილობას, რადგან მათ, საოკუპაციო ზონის ხელისუფლების აკრძალვის გამო, არ შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ ყრილობის მუშაობაში.

ყრილობა გახსნა გლეხმა გერიგ ლოტცმა ტიურინგიიდან. მან შეკრებილთ მოაგონა, რომ გერმანელი გლეხები ასწლობით განაგრძობდნენ ბრძოლას გერმანიაში დემოკრატიული მიწის რეფორმის განსახორციელებლად. „ამჟამად მიწის რეფორმა განხორციელებულია აღმოსავლეთ ზონაში“, — სთქვა მან.

საბჭოთა ზონაში სოფლის მეურნეობის სამმართველოს დირექტორმა გერილემ გლეხთა პირველ ყრილობას უწოდა „ქვაკუთხედი ახალი დემოკრატიული გერმანიის საერთო განვითარების ისტორიაში“. გერმანიის ისტორიაში პირველად შეკრებნენ დელეგატები დემოკრატიული გლეხობისა, რომელმაც შეიგნო, რომ არ შეიძლება გულგრილი დარჩე ერის ბედისადმი. „უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, — სთქვა მან,—გლეხები თვალნათლივ დარწმუნდნენ, რომ ურთიერთდახმარების მოუწყობლად ხსნა არ შეიძლება.

ყრილობაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე ვილჰელმ პიკი. დასავლეთი გერმანიიდან სიტყვით გამოსულმა დელეგატებმა მოითხოვეს მიწის რეფორმის განხორციელება მათს ზონებში, ხალხის ნების თანახმად.

დიდი მოხსენება „ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა და გლეხობის ამოცანები“ გააკეთა გლეხმა ოტო კერტინგმა. სტატისტიკური ცნობების საფუძველზე მან დაამტკიცა მიწის რეფორმის განხორციელების საჭიროება და ილაპარაკა ამ რეფორმის წარმატებაზე საბჭოთა ზონაში. შემდეგ კერტინგმა განაცხადა, რომ დასავლეთ გერმანიაში შეიძლებოდა წარმოშობილიყო 750 ათასზე მეტი ახალი გლეხური კომლი, იქ რომ მიწის რეფორმა ჩატარებულიყო. თავის მოხსენებაში კერტინგმა წამოაყენა მთელი რიგი მოთხოვნები, რომლებიც განხილულ უნდა იქნან, როგორც გლეხთა ურთიერთდახმარების კომიტეტების ამოცანები.

სურსათით მომარაგება მთლიანად დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გადიდებაზე. ამის წინაპირობას წარმოადგენს სამრეწველო წარმოების ორიენტაცია სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

სამრეწველო საქონლის ფასი უნდა შეესაბამებოდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასებს. სოფლის მეურნეობა დაინტერესებული არ არის საკომპენსაციო გარიგებებით.

გადასახადთა შემცირება სამი პროცენტით.

გლეხთა ურთიერთდახმარების კომიტეტების მონაწილეობა სასუქების განაწილებაში, თესლის მიღებაში, სავალდებულო ჩაბარებათა დაგეგმვასა და ნორმების დაწესებაში.

კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასოფლო სკოლების, ტექნიკური სკოლებისა და სასოფლო-სამეურნეო სკოლების რაოდენობის გადიდება.

სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები გლეხობის სამსახურში უნდა ჩადგნენ.

სამავშვო სახლების, სამრეცხაოების, სამკერვალო სახელოსნოების ფართო ორგანიზაცია.

23 ნოემბერს გლეხთა პირველი ყრილობის დელეგატებმა აირჩიეს გლეხთა ურთიერთდახმარების კომიტეტების ცენტრალური გაერთიანების მთავარი კომიტეტი საბჭოთა ზონის ხუთივე მხარისათვის. მთავარმა კომიტეტმა, თავის მხრივ, თავის წრიდან აირჩია სამი თავმჯდომარე—ოტო კერტინგი (საქსონია-ანჰალტი), ვერმერი (მეკლენბურგი), ლოტცი (ტიურინგია).

ყრილობამ მოწოდებით მიმართა ყველა გერმანელ გლეხს — საბჭოთა ზონის გლეხთა ურთიერთდახმარების კომიტეტების მაგალითისამებრ ყველგან შექმნან გლეხთა ძლიერი დემოკრატიული ორგანიზაციები. ყრილობის დელეგატებმა თხოვნით მიმართეს აგრეთვე ლონდონის კონფერენციას გერმანიის ერთიანობის აღდგენის გზით მისცეს გერმანელ ხალხს არსებობის შესაძლებლობა და საბჭოთა ზონაში ჩატარებული მიწის რეფორმა მთელ გერმანიაზე გაავრცელოს.

ფ. ნ. თავაძე—ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ამას წინათ კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია დაიცვა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ფ. ნ. თავაძემ.

დისერტანტმა დაამუშავა ფრიად მნიშვნელოვანი თემა — მაღალხარისხოვანი თითრი და ნაცრისფერი თუჯის ახალი შენადნობი.

ამხ. თავაძის ახალი შენადნობმა, როგორც დეფიციტური ბრინჯაოსა და ლეგირებული ფოლადის შემცვლელმა, მაღალი შეფასება მიიღო ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი სპეციალისტებისაგან, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ამხ. თავაძის ნაშრომი ახალი დიდი წვლილია ლითონის ჩამოსხმისა და საერთოდ ლითონმცოდნეობაში.

ამხ. თავაძე მეტალურგიული ინსტიტუტის ხელმძღვანელია. აქვს 32 მეცნიერული ნაშრომი და მოგონების რამდენიმე ჯილდო. ლენინური კომკავშირის აღზრდილი ამხ. ფ. ნ. თავაძე მეცნიერულ მუშაობასთან ერთად აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობასაც აწარმოებს ინსტიტუტსა და საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში.

ილია ჭავჭავაძის საიუბილეო საღამო

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში ორშაბათს, 1 დეკემბერს შესდგება დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის საიუბილეო საღამო (დაბადებიდან 100 წლისა და გარდაცვალებიდან 40 წლის შესრულების გამო).

საღამოს პირველ განყოფილებაში შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს პაველ ინგოროყვა.

მოხსენებას თემაზე: „ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედება“ გააკეთებს გიორგი ჯიბლაძე.

სიტყვებით გამოვლენ — ლ. ასათიანი, შ. დადიანი, ნ. კეცხოველი, კ. კაკაბაძე, ნ. ნაკაშიძე, ლ. ქიაჩელი, გ. ქიქოძე.

ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ ლექსებს წაიკითხავენ პოეტები: ა. გომიაშვილი, ი. გრიშაშვილი, გ. ლეონიძე, მ. მრევლიშვილი, ნ. ნადირაძე, ი. ნონეშვილი, გ. ტაბიძე, ს. ჩიქოვანი, კ. ჭიჭინაძე, ს. შანშიაშვილი.

მეორე განყოფილებაში ილიას ლექსებსა და მოთხრობებს წაიკითხავენ: ვ. ანჯაფარიძე, თ. ჭავჭავაძე, ვ. გოძიაშვილი, ს. ზაქარიაძე, პ. კობახიძე.

ილიას ტექსტზე დაწერილ მუსიკალურ ნაწარმოებებს შეასრულებენ: ე. სოხაძე, თ. ხახუტაშვილი, მ. შილდელი, პ. ამირანაშვილი, ლ. გურესაშვილი, მ. ყვარელაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

ზესტაფონი

წიდის აგურის პირველი სახლი

სტალინური პრემიის ლაურეატმა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ინჟინერმა გ. სიორიძემ და ფართო მოხმარების საგნების საამქროს უფროსმა ინჟინერმა მ. მიქამიძემ წიდისაგან დაამზადეს მაღალი ხარისხის აგური, იგი პირველად გამოიყენეს ზესტაფონში სამართლიანი ადმინისტრაციული სახლის მშენებლობაზე. როგორც პრაქტიკამ დაამტკიცა, წიდის აგური საუკეთესო საშენ მასალას წარმოადგენს.

ახალი თეატრი

ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ზესტაფონის თეატრის მშენებლობა. თეატრი შენდება თანამედროვე დიდი თეატრების გეგმის მიხედვით. მას ექნება მობრავი სცენა, მდიდრულად გაფორმებული ფოიეები, აბაზანები და მსახიობთა სასამსახურო განყოფილებები. თეატრი დაიტევს ხუთასამდე მაყურებელს.

დიდი მოგება

მოქალაქე ა. კველიშვილმა თბილისის რაიონულ შემნახველ სალაროში წარადგინა მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხის 200-მანეთიანი ობლიგაცია (სერიის № 47221, ობლიგაციის № 21-22), რომელსაც ხვდა 10.000 მანეთი მოგება.

შესწორება

„კომუნისტის“ 28 ნოემბრის მოწინავე წერილის მეორე სვეტის მეორე აბზაცი ქვემოდან უნდა იკითხებოდეს ასე: „ადგილობრივი საბჭოები ვალდებულნი არიან არა უგვიანეს 1947 წლის 6 დეკემბრისა, ე. ი. არჩევნებამდე 35 დღით ადრე, გამოაქვეყნონ ამომრჩეველთა სიები ყველას გასაცნობად“. შემდეგ როგორც ტექსტშია.

მესამე ხუთწლედის [illegible] სახელმწიფო სესხი

[illegible]

ოფიციალური ცხრილი

ტირაჟი შესდგა 1947 წლის 15 ნოემბერს ქ. მოსკოვში. მოგება ხვდა სესხის [illegible] გამოშვების ყველა 92 თანრიგის სერიების ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით
80291	40*)	500	89156	04*)	[illegible]
80317	39*)	500	89331	1—50	[illegible]
80517	05*)	500	89599	09*)	[illegible]
80667	1—50	200	89630	07*)	[illegible]
80678	34*)	500	89667	50*)	[illegible]
80801	13*)	500	89797	45*)	[illegible]
81424	47*)	500	90061	1—50	[illegible]
81619	41*)	500	90244	30*)	[illegible]
81652	20*)	500	90365	43*)	[illegible]
81810	34*)	1.000	90536	03*)	[illegible]
81906	1—50	200	90593	17*)	[illegible]
82019	30*)	500	90730	06*)	[illegible]
82198	38*)	500	90746	12*)	[illegible]
82199	1—50	200	90812	17*)	[illegible]
82273	02*)	500	90885	14*)	[illegible]
82299	05*)	500	90994	1—50	[illegible]
82415	20*)	1.000	91178	39*)	[illegible]
82437	32*)	500	91182	08*)	[illegible]
82539	39*)	500	91309	50*)	[illegible]
82947	1—50	150	91362	1—50	[illegible]
83104	1—50	200	91372	18*)	[illegible]
83369	15*)	500	91420	1—50	[illegible]
83412	07*)	500	91555	47*)	[illegible]
83677	49*)	500	91680	1—50	[illegible]
83758	46*)	500	91720	08*)	[illegible]
83830	15*)	500	91758	25*)	[illegible]
83845	1—50	200	91809	1—50	[illegible]
84057	01*)	500	92047	38*)	[illegible]
84063	03*)	500	92562	45*)	[illegible]
84083	49*)	500	92577	30*)	[illegible]
84204	10*)	500	92629	15*)	[illegible]
84223	42*)	500	92726	49*)	[illegible]
84305	15*)	3.000	92930	39*)	[illegible]
84335	1—50	200	93222	15*)	[illegible]
84367	21*)	500	93360	40*)	[illegible]
84589	50*)	500	93420	30*)	[illegible]
84719	26*)	500	93427	1—50	[illegible]
84796	1—50	200	93646	1—50	[illegible]
85080	1—50	200	93705	08*)	[illegible]
85268	31*)	500	94516	10*)	[illegible]
85538	32*)	500	94849	30*)	[illegible]
85646	1—50	200	95073	12*)	[illegible]
85735	1—50	150	95536	13*)	[illegible]
85808	35*)	500	95797	01*)	[illegible]
85834	18*)	500	95802	08*)	[illegible]
85876	1—50	150	96167	16*)	[illegible]
85996	1—50	150	96183	1—50	[illegible]
86009	06*)	500	96267	1—50	[illegible]
86043	38*)	500	96413	38*)	[illegible]
86109	1—50	150	96516	1—50	[illegible]
86196	1—50	200	96613	02*)	[illegible]
86309	41*)	500	96670	28*)	[illegible]
86313	1—50	200	96706	47*)	[illegible]
86316	1—50	200	97399	01*)	[illegible]
86326	17*)	500	97913	1—50	[illegible]
86894	29*)	500	97933	49*)	[illegible]
86955	19*)	500	97938	10*)	[illegible]
87167	09*)	500	98038	50*)	[illegible]
87265	46*)	500	98409	27*)	[illegible]
87621	44*)	500	98473	1—50	[illegible]
87873	23*)	500	98477	40*)	[illegible]
88091	30*)	500	98732	1—50	[illegible]
88221	1—50	200	99017	10*)	[illegible]
88236	28*)	500	99077	09*)	[illegible]
88351	1—50	150	99098	1—50	[illegible]
88391	31*)	500	99270	33*)	[illegible]
88610	04*)	500	99325	1—50	[illegible]
88736	49*)	500	99380	1—50	[illegible]
88861	16*)	500	99416	50*)	[illegible]
88883	37*)	500	99610	1—50	[illegible]
88896	20*)	500	99804	1—50	[illegible]
89004	45*)	500	99839	1—50	[illegible]
89078	25*)	500	99871	48*)	[illegible]

*) ამ სერიის დანარჩენ 49 ნომერ ობლიგ[აციას] ხვდა 150 მანეთი მოგება თითოეულს.

სატირაჟო კომისიის თავმჯდომ[არე] ა. ა. ლობ[illegible]

სატირაჟო კომისიის პასუხისმგებ[ელი] მდივანი ა. პ. დუდაკოვი

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ი. ნატროშვილი

განრიგება

სამგზავრო მატარებელთა მიმოსვლისა თბილისის სადგურში 1947/48 წლის ზამთრისათვის 1 დეკემბრიდან

თბილისიდან გადის			ჩადის დანიშნულების სადგურში	თბილისში მოდის			გამოდის საწყისი სადგურიდან
ექსპრესი № 1 ბაქომდე	8 ს. 00 წ.	ორშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს, კვირას	18 ს. 35 წ.	ექსპრესი № 2 ბაქოდან	17 ს. 55 წ.	ორშაბათს, სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს,	7 ს. 20 წ.
ექსპრესი № 2 მოსკოვამდე	0 ს. 05 წ.	ლუწ რიცხვბ.	22 ს. 50 წ.	" № 1 მოსკოვიდან	8 ს. 00 წ.	კენტ რიცხვ.	12 ს. 10 წ.
ჩქარი № 14 "	11 ს. 30 წ.	ყოველდღე	19 ს. 20 წ.	ჩქარი № 13 მოსკოვიდან	21 ს. 20 წ.	ყოველდღე	16 ს. 25 წ.
სამგზავრო № 41 ბაქომდე	22 ს. 10 წ.	"	16 ს. 50 წ.	სამგზავრო № 42 ბაქოდან	17 ს. 21 წ.	"	23 ს. 15 წ.
სამგზავრო № 62 როსტოვამდე	8 ს. 25 წ.	კენტ რიცხვებში	5 ს. 12 წ.	სამგზავრო № 61 როსტოვიდან	14 ს. 18 წ.	ლუწ რიცხვ.	15 ს. 00 წ.
ექსპრესი № 4 სოჭამდე	7 ს. 27 წ.	ორშაბათს, სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს	20 ს. 00 წ.	ექსპრესი № 3 სოჭიდან	21 ს. 47 წ.	სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს, კვირას	8 ს. 00 წ.
" № 6 ბათუმამდე	11 ს. 00 წ.	ოთხშაბათს, კვირას	19 ს. 30 წ.	" № 5 ბათუმიდან	19 ს. 25 წ.	ხუთშაბათს, ორშაბათს	9 ს. 35 წ.
სამგზავრო № 44 ქუთაისამდე	13 ს. 10 წ.	ყოველდღე	20 ს. 35 წ.	სამგზავრო № 43 ქუთაისიდან	6 ს. 55 წ.	ყოველდღე	23 ს. 25 წ.
" № 46 სოხუმამდე	15 ს. 40 წ.	ლუწ რიცხვ.	9 ს. 15 წ.	" № 45 სოხუმიდან	7 ს. 42 წ.	ლუწ რიცხვ.	17 ს. 10 წ.
" № 48 ბათუმამდე	20 ს. 05 წ.	ყოველდღე	8 ს. 30 წ.	" № 47 ბათუმიდან	10 ს. 40 წ.	ყოველდღე	21 ს. 55 წ.
" № 50 ფოთამდე	0 ს. 35 წ.	"	12 ს. 17 წ.	" № 49 ფოთიდან	5 ს. 10 წ.	"	17 ს. 45 წ.
" № 51 ერევნამდე	14 ს. 00 წ.	"	5 ს. 45 წ.	" № 52 ერევნიდან	6 ს. 30 წ.	"	12 ს. 55 წ.
" № 53	21 ს. 15 წ.	"	14 ს. 15 წ.	" № 54 "	14 ს. 35 წ.	"	20 ს. 50 წ.
" № 57 წნორისწყლამდე	9 ს. 55 წ.	"	18 ს. 40 წ.	" № 58 წნორის წყლიდან	5 ს. 35 წ.	"	21 ს. 05 წ.
" № 63	18 ს. 55 წ.	"	3 ს. 30 წ.	" № 64 "	14 ს. 10 წ.	"	6 ს. 00 წ.
" № 65 თელავამდე	21 ს. 45 წ.	"	7 ს. 20 წ.	" № 66 თელავიდან	17 ს. 40 წ.	"	8 ს. 20 წ.
" № 70 ბორჯომამდე (ექსპრესი)	8 ს. 10 წ.	"	11 ს. 40 წ.	" № 69 ბორჯომიდან (ექსპრესი)	19 ს. 05 წ.	"	15 ს. 15 წ.
" № 72 ახალციხე-ვალემდე	22 ს. 10 წ.	"	7 ს. 10 წ.	" № 71 ახალციხე-ვალედან	17 ს. 31 წ.	"	8 ს. 50 წ.
" № 76 ბორჯომამდე	17 ს. 15 წ.	"	23 ს. 20 წ.	" № 75 ბორჯომიდან	6 ს. 16 წ.	"	0 ს. 25 წ.
" № 78 ხაშურამდე	5 ს. 20 წ.	"	9 ს. 28 წ.	" № 77 ხაშურიდან	18 ს. 14 წ.	"	14 ს. 25 წ.
" № 80 სტალინირამდე	16 ს. 28 წ.	"	21 ს. 25 წ.	" № 79 სტალინირიდან	4 ს. 35 წ.	"	23 ს. 35 წ.
საგარეუბნო № 102 გორამდე	9 ს. 35 წ.	"	12 ს. 10 წ.	საგარეუბნო № 101 გორიდან	16 ს. 50 წ.	"	13 ს. 55 წ.
" № 105 ყარაიამდე	6 ს. 20 წ.	"	7 ს. 35 წ.	" № 106 ყარაიიდან	10 ს. 05 წ.	"	8 ს. 25 წ.
" № 107 მთავარ არხამდე	14 ს. 25 წ.	"	15 ს. 25 წ.	" № 108 მთავარი არხიდან	18 ს. 20 წ.	"	17 ს 25 წ.
" № 109 ყარაიამდე	19 ს. 50 წ.	"	21 ს. 13 წ.	" № 110 ყარაიიდან	28 ს. 10 წ.	"	21 ს. 44 წ.
" № 113 სოღანლუღამდე	3 ს. 16 წ.	"	4 ს. 06 წ.	" № 114 სოღანლუღ.	6 ს. 10 წ.	"	5 ს. 10 წ.
" № 115 "	6 ს. 37 წ.	"	7 ს. 26 წ.	" № 116 სოღანლუღ.	9 ს. 05 წ.	"	8 ს. 12 წ.
" № 117 "	16 ს. 39 წ.	"	17 ს. 30 წ.	" № 118 "	18 ს. 50 წ.	"	17 ს. 57 წ.
" № 119 "	19 ს. 18 წ.	"	20 ს. 08 წ.	" № 120 "	21 ს. 25 წ.	"	20 ს. 33 წ.

მატარებლის გასვლა და მოსვლა ნაჩვენებია **მოსკოვის** დროით

თეატრებში

29 ნოემბერს ფალიაშვილის სახელობის— „ტრავიატა“; რუსთაველის სახელობის — „თოფიანი კაცი“; მარჯანიშვილის სახელობის — „1917 წელი“; გრიბოედოვის სახელობის — „ასეც იქნება“; მუსიკალური კომედიის—„მზის დაბნელება“; მოზარდ მაყურებელთა ქართული — „მთის ბიჭები“.

კინოებში

29 ნოემბერს: რუსთაველის სახელობის, „ამირანი“ და „სპარტაკი“ — „გრძნობის აღზრდა“; „ოქტომბერი“ — „ზოვმუნდ კოლოსოვსკი“; „კომკავშირელი“ — „პირველი ხელთათმანი“; 26 კომისრის სახელობის — „გრძნობის აღზრდა“; „კოლმეურნე“ — „მზევავის გმირობა“.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 12 დეკემბერს, დღის 12 საათზე, შესდგება ზოოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომა, რომელზეც მიხეილ გიორგის-ძე დემეტრაშვილი ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ტიპიური ხრამულის Varicorhinus capuëta [güld] სისტემატიკა და ბიოლოგია“.

ოფიციალური ოპონენტები პროფესორი პ. ნ. როხტომბეკოვი, პროფესორი ა. ა. სადოვსკი.

სხდომა შესდგება საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 3).

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8).

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი აცხადებს, რომ სახელმწიფო გამოცდები ზოოტექნიკურ ფაკულტეტზე შესდგება ა. წ. 8 დეკემბრიდან 1948 წლის 3 იანვრამდე.

დირექცია

მოქალაქე ნიკოლოზ იაკობის-ძე ახლამაზაშვილმა, მცხოვრებმა ძრავის გასავალი № 6, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე ელენე ნიკოლოზის ასულ ახლამაზაშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე შალვა სტეფანეს-ძე თურქიამ, მცხოვრებმა მედქალაქში, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე ალექსანდრა ნიკოლოზის ასულ ფადიუშინასთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის III უბნის სახალხო სასამართლო.

საქართველოს კოოპკავშირის პრეზიდიუმი იუწყება ეთერ თათუზოვის გარდაცვალებას.

დედა ფედოსი, მეუღლე მელიტონი, ძმები შალვა, იპოლიტე, რძალი ვალია შვილებით იუწყებიან ლუბა იესეს ასულ პეიშვილი-გრძელიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-XII, სოფელ ხორეთში (ლანჩხუთის რაიონი).

მეუღლე ანასტასია შვილებით, დედა ეფემია, ძმები ამბროსი, ალექსანდრე, გალაქტიონ, და ნინო ოჯახით იუწყებიან არქიპო ნიკოლოზის-ძე თოდაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 29-XI, 7 ს. გამოსვენება 30-XI, 3 ს. პრავდის, 60.

ნატა ვაჩნაძე, კირა, ალექსანდრე ანდრონ[illegible] კაშველები ოჯახებით იუწყებიან რომ 30-[illegible] 3 საათზე, ვაკის სასაფლაოზე დანიშნულ[illegible] დედის ეკატერინე სიმონის ასულ ანდრონ[illegible] კაშვილის პანაშვიდი.

ქეთო, დავით ესაკიები, ლუბა, სანდრო [illegible] ნიშვილები იუწყებიან გრიშა პარხალაშვ[illegible] ლის დედის მატრონას გარდაცვალებას.

სოფიო მახარაძე, თამარ საყვარელიძე [illegible] ქენია ჯაფარიძე ოჯახებით იუწყებიან სიძ[illegible] ალექსი ილარიონის-ძე კეკელიძის გარდაცვ[illegible] ლებას.

მშობლები კატო, ისიდორე, მეუღლე ცეც[illegible] ძმა ილია, და თამარ ოჯახებით იუწყებ[illegible] ალექსანდრე კვაშალის გარდაცვალება[illegible] დაკრძალვა მახარაძეში.

ძმები ონიფანტე, გერონტი, მიხაკო, რძალ[illegible] ბაბო, ოჯახებით იუწყებიან ამბერკო დ[illegible] მენტის-ძე ქიპაშვილის გარდაცვალებას. დ[illegible] რძალვა 30-XI, ფარცხანაყანევში.

ბიძა მათე, ბიცოლა ლუდია მიქელაძეები შ[illegible] ლებით იუწყებიან გიორგი მიხეილის-[illegible] კეკიანის გარდაცვალებას. პანაშვიდი 29-X[illegible] 7 ს. გამოსვენება 30-XI, 3 ს. 5 [illegible] ზრის, 6.

თბილისის სახელმწიფო ფარმაცევტულ[illegible] ტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები [illegible] ყებიან კონსტანტინე სილოვანის-ძე მუჯი[illegible] გარდაცვალებას.

სამტრესტის თანამშრომლები იუწყებიან [illegible] ნე იასეს-ძე ტყავაძის გარდაცვალებას. [illegible] მოსვენება 30-XI, 2 ს. პეტრიაშვილის, 22.

თეო და ივანე თალაკვაძეები იუწყებ[illegible] მაგდანა კალისტრატეს ასულ ქურთუბაძ[illegible] გარდაცვალებას. პანაშვიდი 29-XI, 7 ს. [illegible] მოსვენება 30-XI, 2 ს. რიგის, 66.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-78-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მოიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 უდ 12672